# შენთვის, დედა-სამშობლოვ!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

18 მარტი ოთხშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 64 (14668)


საქართველოს მშრომელებს, რომლებიც კისრულობენ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ლენინის სახელოვანი იუბილეს წელი აღნიშნონ ახალი წარმატებებით სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარების გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში.



# საქართველოს სახალხო მეურნეობის მუშაკთა სოციალისტური ვალდებულებანი

## 1970 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის •

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უპასუხებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას კომუნისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებებით შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს, აქტიურად ჩაებნენ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები წარმატებით ასრულებენ სახელმწიფო გეგმებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს. პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის 1969 წლის გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ 100,7 პროცენტით შეასრულა, 1968 წელთან შედარებით პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა გაიზარდა 6 პროცენტით, პროდუქციის წარმოების მოცულობა კი — 8 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ზრდამ წლის მანძილზე რესპუბლიკაში 6 პროცენტი შეადგინა.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მშენებლებს, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, კომუნალური მომსახურების მუშაკებს.

მუშათა კლასთან და ინტელიგენციასთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელებიც ემზადებიან ღირსეულად შეხვდნენ ლენინის იუბილეს. მთელ თავიანთ ძალასა და შემოქმედებითს ენერგიას ისინი ახმარენ იმას, რომ განახორციელონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი, უფრო სრულად დააკმაყოფილონ ხალხის, სახელმწიფოს მოთხოვნილებანი სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, ამინდის უაღრესად არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, წარმატებით დაამთავრეს ხუთწლედის მეოთხე წელი და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიჰყიდეს ათასობით ტონა მარცვლეული, ყურძენი, ჩაის ფოთოლი, ხილი, ციტრუსები, ხორცი, რძე და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქცია.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი, უფრო სწრაფი ზრდა, რომ უზრუნველყონ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას. რესპუბლიკაში ფართოდ დაუჭირეს მხარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებულ წითელწყაროს, გორის, მახარაძის, გარდაბნისა და ახალციხის რაიონების სოფლის მშრომელთა ინიციატივას, რომლებმაც სოფლის მშრომელებს მოუწოდეს ყოველი ღონისძიებით გაადიდონ მიწათმოქმედების და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, საქართველოს სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. შეჯიბრების დევიზია — მივცეთ ქვეყანას მეტი იაფი და საუცხოო პროდუქცია.

საქართველოს მშრომელები პატრიოტული საქმეებით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებებს და მთელ თავიანთ ძალ-ღონეს ახმარენ იმას, რომ აამაღლონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, ფართოდ დანერგონ სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, რაციონალურად გამოიყენონ საწარმოო სიმძლავრეები, სამუშაო დრო, გამოიჩინონ მომჭირნეობა და ყაირათიანობა, ყოველდღიურად იბრძვიან იმისათვის, რომ განახორციელონ ამოცანები, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილში „სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ“.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელებმა გაითვალისწინეს მშრომელთა კოლექტივების მიერ დასახული შეჯიბრების ძირითადი მიჯნები, გულმოდგინედ აწონ-დაწონეს თავიანთი რეზერვები და შესაძლებლობანი და 1970 წლისათვის იკისრეს შემდეგი სოციალისტური ვალდებულებანი:

### მრეწველობაში

წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების ახალი რეზერვების ბეჯითად ამოქმედების გზით პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის წლიური გეგმა შეასრულონ 28 დეკემბერს. გადაჭარბებით შეასრულონ წარმოების ზრდის ტემპის საგეგმო დავალება. გამოშვებული პროდუქციის მატება უზრუნველყონ ძირითადად შრომის ნაყოფიერების გადიდების საშუალებით.

წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვან: 6 ათასი ტონა ფოლადი, 5 ათასი ტონა მზა ნაგლინი, 1,5 ათასი ტონა მილები, 22 ათასი ტონა მანგანუმი, 2 სამაგისტრალო ელმავალი ვლ-10, 50 ავტოსაწევარი კაზ-608, 40 სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხი, 50 ტრაქტორი „რიონი“, 35 ათასი ტონა ქვანახშირი, 400 ტონა კაპროლაქტამი, 6 ათასი ტონა ცემენტი, 300 ათასი პირობითი ფილა შიფერი, 20 ათასი კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილა, 250 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილები, 40 ათასი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, 500 ათასი მანეთის ტრიკოტაჟის ნაწარმი, 300 ათასი მანეთის ავეჯი, 15 მილიონი მანეთის კვების მრეწველობის პროდუქცია, 1,6 მილიონი მანეთის ხორცისა და რძის პროდუქცია და სხვ.

გასწიონ საჭირო მუშაობა საწარმოთა ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის, მათ შორის მოახდინონ წარმოების კომპლექსური მექანიზაცია 7 საწარმოში, შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია 110 უბანზე, დანერგონ 17 მექანიზებული ხაზი, 120 დიდი წარმადობის აგრეგატი, მანქანა, დანადგარი და ავტომატური ჩარხი.

გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად მიაღწიონ სულ ცოტა 32 მილიონ მანეთ ეკონომიურ ეფექტს.

ტექნიკური პროგრესის განუყოფელ ნაწილად მიიჩნიონ შრომის, წარმოებისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის შემდგომი განვითარება და ყოველი ღონისძიებით დანერგვა. შრომის მეცნიერულ ორგანიზაციაში მუშაობა მიიჩნიონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის წარმატებით ამაღლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად. კომპლექსური გეგმების რეალიზაციის, შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის მეთოდების დანერგვის გზით მიიღონ შრომის ნაყოფიერების საერთო ზრდის დაახლოებით 25 პროცენტი.

აითვისონ და დანერგონ 1970 წელს: ამიაკისა და კარბამიდის ახალი საწარმოო სიმძლავრეები რუსთავის ქიმიურ კომბინატში, ტლ-110 ელექტროძრავების საცდელი პარტია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხანაში, აფეთქების მეთოდით დეტალების ტვიფვრა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში, ქსოვილების გათეთრება ავტომატიზებულ ნაკადურ ხაზზე გორის ბამბეულის კომბინატში და სხვ.

1970 წელს სერიულ წარმოებაში დანერგონ სულ ცოტა 50 მანქანა, ხელსაწყო და მასალა, მათ შორის: ახალი სპეციალური მილდასამუშავებელი ჩარხები, ელექტროურიკები, შენადუღი ნაწარმი, ელექტროძრავები, ლოკომოტივის სიჩქარმზომები და სხვ. აითვისონ მსუბუქი და კვების მრეწველობის ახალი პროდუქციის წარმოება.

ყველაზე დიდი ყურადღება დაუთმონ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. საუკეთესო ნიმუშების დონემდე აიყვანონ მრეწველობის 200-ზე მეტი ნაწარმი. საუკეთესო ნაწარმი მოამზადონ და წარადგინონ ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მისანიჭებლად.

ყოველდღიურად და შეუპოვრად იბრძოლონ წარმოების ყველა უბანზე მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის დაცვისათვის. დაზოგონ თვითეული კილოგრამი სათბობი, ნედლეული და მასალა. 1970 წელს დაზოგონ 4 ათას ტონაზე მეტი შავი და ფერადი ლითონი, 120 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 18 ათას ტონამდე პირობითი სათბობი.

მოსკოველი მქსოველის მ. ივანიკოვას მოწოდებით იმუშაონ ლენინის იუბილეს დღეებში — მიმდინარე წლის 21 და 22 აპრილს — დაზოგილი ნედლეულით, მასალებითა და ენერგეტიკული რესურსებით.

1970 წლის 11 აპრილს მოაწყონ ლენინის სახელოვანი იუბილესადმი მიძღვნილი რესპუბლიკური კომუნისტური შაბათობა. ამ დღეს გამომუშავებული სახსრები შეიტანონ ხუთწლედის ვადამდე დამთავრების ფონდში.

### სოფლის მეურნეობაში

მარცვლეულის წარმოება გაადიდონ 840 ათას ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 832 ათასი ტონის ნაცვლად, ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა — 230 ათას ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 225 ათასი ტონის ნაცვლად, ყურძნისა — 500 ათას ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 484 ათასი ტონის ნაცვლად, ხილისა — 350 ათას ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 344 ათასი ტონის ნაცვლად, ციტრუსებისა — 45 ათას ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 41 ათასი ტონის ნაცვლად, შაქრის ჭარხლისა (საფაბრიკო) — 130 ათას ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 120 ათასი ტონის ნაცვლად, კარტოფილისა — 290 ათას ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 277 ათასი ტონის ნაცვლად, ბოსტნეულისა — 350 ათას ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 334 ათასი ტონის ნაცვლად, ხორცისა — 170 ათას ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 166 ათასი ტონის ნაცვლად, რძისა — 510 ათას ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 496 ათასი ტონის ნაცვლად, კვერცხისა — 405 მილიონ ცალამდე გეგმით გათვალისწინებული 400 მილიონი ცალის ნაცვლად.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საფუძველზე სახელმწიფოს მიჰყიდონ: მარცვლეული — 90 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 70 ათასი ტონის ნაცვლად, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 230 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 225 ათასი ტონის ნაცვლად, ყურძენი — 340 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 320 ათასი ტონის ნაცვლად, ხილი —153 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 140 ათასი ტონის ნაცვლად, ციტრუსები — 40 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 28,5 ათასი ტონის ნაცვლად, შაქრის ჭარხალი — 130 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 120 ათასი ტონის ნაცვლად, კარტოფილი —62 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 61 ათასი ტონის ნაცვლად, ბოსტნეული — 160 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 140 ათასი ტონის ნაცვლად, ხორცი — 65 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 55 ათასი ტონის ნაცვლად, მათ შორის ღორის ხორცი — 20 ათასი ტონა და ფრინველის ხორცი — 4 ათასი ტონა, რძე — 165 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 160 ათასი ტონის ნაცვლად, კვერცხი — 155 მილიონი ცალი გეგმით გათვალისწინებული 150 მილიონი ცალის ნაცვლად.

წითელწყაროს რაიონის მხვნელ-მთესველებმა გადაწყვიტეს მარცვლეულის წარმოება გაადიდონ 65 ათას ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 53 ათასი ტონის ნაცვლად და სახელმწიფოს მიჰყიდონ 20 ათასი ტონა მარცვლეული ანუ 8 ათასი ტონა გეგმის გადაჭარბებით.

სიღნაღის რაიონის მშრომელები ვალდებულებას კისრულობენ სახელმწიფოს ჩააბარონ 7 ათასი ტონა მარცვლეული გეგმით გათვალისწინებული 5.450 ტონის ნაცვლად.

გურჯაანის რაიონის მშრომელები სახელმწიფოს მიჰყიდიან 55 ათას ტონა ყურძენს — 1,8 ათასი ტონით მეტს, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

თელავის რაიონის მევენახეებმა გადაწყვიტეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 40 ათასი ტონა ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 38.200 ტონის ნაცვლად, ზესტაფონის რაიონისა — 25 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 23 ათასი ტონის ნაცვლად, ვანის რაიონისა — 9.300 ტონა გეგმით გათვალისწინებული 8.450 ტონის ნაცვლად, ყვარლის რაიონისა —21 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 19.500 ტონის ნაცვლად, თერჯოლის რაიონისა — 15 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 13.300 ტონის ნაცვლად, ახმეტის რაიონისა — 16 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 15.020 ტონის ნაცვლად.

აჭარის ასს რესპუბლიკის მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 35.950 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 34.950 ტონის ნაცვლად, 15 ათასი ტონით მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მშრომელები ვალდებულებას კისრულობენ სახელმწიფოს მიჰყიდონ 42.100 ტონა ჩაის ფოთოლი — 1.000 ტონით მეტი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

სამხრეთ ოსეთის ხეხილის ბაღების მშრომელები სახელმწიფოს მიჰყიდიან 8.300 ტონა ხილს გეგმით გათვალისწინებული 7.800 ტონის ნაცვლად.

მახარაძის რაიონის მეჩაიეები მოკრეფენ და სახელმწიფოს მიჰყიდიან 41.720 ტონა ჩაის ფოთოლს გეგმით გათვალისწინებული 40.720 ტონის ნაცვლად.

ზუგდიდის რაიონის მეჩაიეები მოკრეფენ 30 ათას ტონა ჩაის ფოთოლს გეგმით გათვალისწინებული 29.300 ტონის ნაცვლად.

გორის რაიონის მეხილეებმა გადაწყვიტეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 30 ათასი ტონა ხილი გეგმით გათვალისწინებული 24.600 ტონის ნაცვლად.

(დასასრული მე-2 გვ.).











## ამხ. ლ. ი. ბრეჟნევისა და ამხ. ე. ფოკის შეხვედრა

17 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარეს ამხ. ენე ფოკს, რომელიც მეგობრული ვიზიტით იმყოფება მოსკოვში.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევსა და ამხ. ე. ფოკს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც ძმური მეგობრობის, გულითადობისა და ყველა განხილულ საკითხზე შეხედულებათა სრული ერთიანობის ვითარებაში ჩაიარა.

## საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მოლაპარაკება

16 მარტს კრემლში გაიმართა მოლაპარაკება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინსა და მოსკოვში მეგობრული ვიზიტით ჩამოსულ უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარეს ენე ფოკს შორის.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების, საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების საკითხები.

17 მარტს კრემლში დამთავრდა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მოლაპარაკება ორ ქვეყანას შორის მეგობრული თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებზე. მოლაპარაკება გულითად, ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარემ ენე ფოკმა კმაყოფილება გამოთქვეს აზრთა ურთიერთ გაზიარებისა და მოლაპარაკების შედეგების გამო. (საკდესი).

## მოსკოვიდან გაემგზავრა ენე ფოკი

17 მარტს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე ენე ფოკი, რომელიც აქ იყო მეგობრული ვიზიტით.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, სტუმრები გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

(საკდესი).

## ვ. პ. მჟავანაძემ მიიღო ე. გ. გილელსი

17 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ მიიღო საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ე. გ. გილელსი, რომელიც თბილისში იმყოფება სსრ კავშირის ხალხთა ხელოვნების დღესასწაულზე.

საუბრის დროს ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ თვალსაჩინო პიანისტს გააცნო საქართველოს კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა მიღწევები, ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის ხალხთა ხელოვნების დღესასწაულს.

— ასეთი შეხვედრები, — თქვა ვ. პ. მჟავანაძემ, — ხელს უწყობენ მოძმე კულტურათა დაახლოებას, საბჭოთა ხალხების უფრო მჭიდრო მეგობრობას.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ ე. გ. გილელსს უსურვა ახალი წარმატებანი მის შესანიშნავ შემოქმედებაში.

ე. გ. გილელსმა მხურვალე მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის და ილაპარაკა თავის შემოქმედებითს გეგმებზე. (საქდესი).

## მტკიცდება მეცნიერული ურთიერთობა

16 მარტს მოსკოვში ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მეცნიერული კვლევის საკოორდინაციო საკავშირო საბჭოს თანამშრომლობის 1970-1971 წლების გეგმას. (საკდესი).

## ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოეზიის დღეები

ბაქო, 17 მარტი. (საკდესის კორ.). აზერბაიჯანის დედაქალაქში დაიწყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოეზიის დღესასწაული. მწერლები სამ დღეს იქნებიან მენავთობეთა, მუშათა, სტუდენტთა სტუმრები. ლექსებს წაიკითხავენ ქალაქის მოედნებზეც, სადაც გაიმართება „პოეტთა მეჯლისები“.

— საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიტერატორებს, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა მირზა იბრაგიმოვმა, — აკავშირებს მრავალი საუკუნის ძმობა. ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოეზიის დღეები თავისებური ანგარიშია პოეტური სიტყვის ოსტატთა მიღწევებზე, მოძმე ლიტერატურათა წარმატებებზე. ამ დღესასწაულისათვის აზერბაიჯანელმა პოეტებმა თავიანთ ქართველ და სომეხ თანამოკალმეთა ბევრი ნაწარმოები თარგმნეს.

პოეტური ზეიმის ესტაფეტას ბაქოს შემდეგ ერევანი და თბილისი მიიღებენ.

## ვიეტნამის მხარდასაჭერად

16 მარტს ვიეტნამში ამერიკელ აგრესორთა დანაშაულის წინააღმდეგ პროტესტის საერთაშორისო დღე იყო. ვიეტნამის მხარდამჭერი საბჭოთა კომიტეტმა, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა, საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტმა, საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოებამ და საბჭოთა კავშირის იურისტთა ასოციაციამ სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტთა სამართლიან ბრძოლასთან სოლიდარობის ნიშნად ამ დღის მოაწყვეს მოსკოვის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება. (საკდესი).

# მთავარი პრობლემა წარმოების ეფექტურობა

[illegible]

ამ დღეს საწარმოში მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ლოლაშვილი. კრების დაწყებამდე სტუმრები გაეცნენ ქარხანას, დაათვალიერეს საამქროები, ესაუბრნენ მუშებსა და მოსამსახურეებს.

კრება გახსნა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. მუშლიანმა. მან მოხსენებისათვის სიტყვა მისცა საწარმოს დირექტორს დ. ჟორჟოლიანს.

26 კომისრის სახელობის ქარხანა ძირითადად აწარმოებს მოწყობილობას მეღვინეობისა და კვების მრეწველობისათვის. მის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნაა, პროდუქციის ხარისხი განუწყვეტლივ უმჯობესდება. დადგა რა ლენინურ შრომითი ვახტზე, საწარმოს კოლექტივი ხუთწლედის დავალებას წარმატებით ასრულებს. მაგალითად, აქ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს გასული წელი და ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ორი თვის მანძილზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვეს. გადაჭარბებით შესრულდა გეგმები უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით, კერძოდ, პროდუქციის რეალიზაციისა და სასაქონლო პროდუქციის შესრულების გეგმა.

საწარმოს დირექტორმა აღნიშნა, რომ ქარხნის ყველა საამქროსა და განყოფილებაში წერილი განიხილეს დიდი ინტერესით და წამოაყენეს ბევრი სასარგებლო კონკრეტული წინადადება წარმოების ეფექტიანობის ამაღლების შესახებ. მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მანქანათმშენებელთა კოლექტივის ბრძოლას შრომის დიდი ნაყოფიერებისათვის. ამ ამოცანის გადაწყვეტას ხელი შეუწყო იმან, რომ განხორციელდა მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, დაინერგა შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის გეგმები, მოწინავე ტექნოლოგია და ამაღლდა გამოშვებული ნაწარმის ალჭურვილობის კოეფიციენტი. ამის შედეგად გამოშვებულია ასეულ ათასობით ზეგეგმითი პროდუქცია, განთავისუფლებულია ათობით მომუშავე.

მაგრამ შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვები სრულიადაც არ არის ამოწურული. მიმდინარე წლის გეგმა ითვალისწინებს მის შემდგომ ზრდას. ამიტომ საწარმოში დიდი მუშაობა უნდა გასწიონ საწარმოო პროცესების შემდგომი მექანიზაციისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებზე ხელის შრომის როლის შემცირებას. კარგი შედეგები მოჰყვება ტექნოლოგიური პროცესების შემდგომ სრულყოფას, მიწის ფორმების ნაცვლად ლითონის ფორმებში დეტალების ჩამოსხმის, ცხელი ტვიფვრის დანერგვას, დეტალების ალმასით დამუშავების გამოყენებას, დამუშავებული დეტალების ნამეტის შემცირებას.

ამ ბოლო ორი წლის მანძილზე საწარმოებში შესამჩნევად გაუმჯობესდა მუშაობა ახალ თანამედროვე დიდი წარმადობის მოწყობილობის ათვისებისა და გამოშვებისათვის. ეს, უწინარეს ყოვლისა, არის საცობი ავტომატები, ვალციანი სამსხვრეველები, სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარები. დიდი ხახია ქარხანას არ მიუღია არც ერთი რეკლამაცია თავის პროდუქციაზე, რომელიც გაგზავნა როგორც საშინაო ბაზარზე, ისე საექსპორტოდ.

მაგრამ, როგორც ამხ. ჟორჟოლიანმა აღიარა, ხარისხის საკითხები კოლექტივს სრულიადაც არ გადაუჭრია. ჯერ კიდევ იშვიათი როდია შემთხვევები, როცა წუნდებული დეტალები მოდის ასაწყობ მოედნებზე, იყენებენ შეუფერებელი მარკების მასალებს. ამის შედეგად გვაქვს მნიშვნელოვანი დანაკარგები. ამოცანა ის არის, რომ მოვსპოთ წუნი, გავაძლიეროთ ბრძოლა პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და წერილი მშრომელებს მოუწოდებენ მომჭირნედ ხარჯონ ნედლეული, მასალები, სათბობი, ელექტროენერგია და სხვ. მატერიალური რესურსების ყაირათიანი ხარჯვის საკითხებს წინათაც წარმატებით ჭრიდნენ თბილისის მანქანათმშენებელთა კოლექტივში. მაგალითად, შარშან მათ დაზოგეს ათ ტონამდე შავი და სამ ტონამდე ფერადი ლითონი, ბევრი ელექტროენერგია და სათბობი. მაგრამ ეს მაჩვენებლები შეიძლებოდა უფრო მაღალი ყოფილიყო. ამაზე ილაპარაკეს წერილის განხილვისას საამქროების მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, ეს თქვა მომხსენებელმაც. დასახელებული იყო შემდგომი მომჭირნეობის კონკრეტული გზები, მისი რეზერვები.

დირექტორმა, მთელმა რიგმა ორატორებმა კრებაზე აღნიშნეს, რომ საჭიროა მკვეთრად აამაღლონ შრომისა და საწარმოო დისციპლინა. მათ მოიყვანეს ციფრები, რომლებიც მოწმობენ, რომ გაცდენები და დაგვიანება რომ არა, ქარხანა დამატებით გამოუშვებდა ათასობით მანეთის პროდუქციას. ეს, კერძოდ, თქვა მექანიკური საამქროს შიგმჩარხავმა შ. თომაშვილმა, რომელმაც მოუწოდა კოლექტივს განახორციელოს უფრო მტკიცე ღონისძიებანი დისციპლინის დამრღვევების, გამცდენებისა და ლოთების მიმართ, მათ გარშემო შეუწყნარებლობის ატმოსფეროს შექმნისათვის, კოლექტივში აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებისათვის. მას მხარი დაუჭირა ზეინკალ-მეამწყობეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა მ. ხეჩუაშვილმა, რომელმაც აგრეთვე აღნიშნა, რომ სამუშაო დროის დიდი დანაკარგები, მოცდენა საკმაოდ ხშირად გამოწვეულია იმით, რომ დროულად არ აწოდებენ მასალებს. მან განაცხადა, რომ საამწყობო საამქროს კოლექტივის საერთო კრებამ განიხილა წერილი და მოითხოვა დასაჯონ შრომისა და საწარმოო დისციპლინის დამრღვევები — გადაიყვანონ დამხმარე მუშებად ან შეუმცირონ მათ თანრიგი.

სამჭედლო საამქროს ჩამბარებელმა ნ. ბოსტანჯევმა ილაპარაკა მასალების მომჭირნეობის მთელ რიგ არსებულ რეზერვებზე. მაგალითად, ყოველწლიურად დაუმთავრებელი წარმოების ინვენტარიზაციის შემდეგ ნაწევარფაბრიკატების საწყობიდან ბევრი ნამზადი და ნაჭედი ბარდება ლითონის ჯართად, მაშინ, როცა თუ დაიხარჯება ცოტა დრო მათი დახარისხებისათვის, შეიძლება ამ მასალების მნიშვნელოვანი ნაწილის განმეორებითი გამოყენება.

საინტერესო მონაცემები მოიყვანა კრებაზე ტექნიკური განყოფილების ტექნოლოგმა, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ინჟინერმა ა. ლიბერზონმა, რომელმაც ილაპარაკა იმ დიდ პერსპექტივებზე, რომლებსაც სახავს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა დანერგვა საწარმოებში, აგრეთვე მის ნოვატორთა საქმიანობაზე. ახალი ტექნიკის ინჟინერმა ს. ზაბაიანმა კი აღნიშნა, რომ ერთნაირად დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ტექნიკის დანერგვის ორივე გზას — როგორც თავისი საწარმოს აღჭურვას შრომის ნაყოფიერების გადიდების მიზნით, ისე ამ ბაზაზე ბევრი თანამედროვე დიდი წარმადობის, საიმედოდ მოქმედი მოწყობილობის შექმნას.

მან აგრეთვე თქვა, რომ საჭიროა გაიზარდოს ქარხანაში არსებული მოწყობილობის კოეფიციენტის გამოყენება; ამის შესაძლებლობანი არის, მათი რეალიზაცია ნიშნავს მეტი დამატებითი პროდუქციის გამოშვებას. ქარხნის ნაწარმზე მოთხოვნა კი განუწყვეტლივ იზრდება. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ჩვენი რესპუბლიკის მეღვინეობის ყველა საწარმოებშიც კი არ არის აქ გამოშვებული თანამედროვე მანქანები და მექანიზმები.

წერილის განხილვაში მონაწილეობდნენ აგრეთვე შესაფუთი საამქროს მუშა ჭ. დარჩია, კომკავშირის საქარხნო კომიტეტის მდივანი ნ. ფუხაშვილი, საინსტრუმენტო საამქროს ზეინკალი ი. ლებედევი. ყველა ორატორმა თავისი და თავისი ამხანაგების სახელით, მხურვალედ მოიწონეს წერილი, შეიტანეს კონკრეტული წინადადებანი წერილში დასმული ამოცანების რეალიზაციის შესახებ და განაცხადეს, რომ შემდგომშიც ყოველი ღონისძიებით გამოავლენენ და გამოიყენებენ წარმოების ახალ რეზერვებს, გააფართოებენ მოძრაობას მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის.

კრებაზე გამოვიდა ამხ. ვ. პ. მჟავანაძე. მან აღნიშნა რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთი უძველესი საწარმოს კოლექტივის მანქანათმშენებელთა შრომითი დამსახურება, მისი შეკავშირება, ერთიანობა, მზადყოფნა პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის. ახლა ამ ამოცანებს განსაზღვრავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ის, რომ საჭიროა ბრძოლა წარმოების რეზერვების უკეთ გამოყენებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებისათვის.

ამხ. მჟავანაძემ ილაპარაკა იმაზე, რომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, მივაღწიოთ შემდგომ ტექნიკურ პროგრესს. ამ მხრივ ქარხნის კოლექტივმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთოს, ფართოდ დანერგოს საწარმოო პროცესების მექანიზაცია.

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, ლოთობის, საზოგადოებრივი წესრიგის სხვა დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლას. ამ ბრძოლას სათავეში უნდა ჩაუდგეს ქარხნის პარტიული ორგანიზაცია, რომელმაც საჭიროა გააძლიეროს აღმზრდელობითი მუშაობა კოლექტივში. მაღალი შეგნებულობა და დისციპლინა ადამიანის მაღალი კულტურის გამოვლინებაა. თუ ყველგან და ყველაფერში არ იქნა მტკიცე დისციპლინა, ძნელია ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის. ამხ. მჟავანაძემ აღნიშნა, რომ საჭიროა გადაჭრით აღიკვეთოს სახელმწიფო ქონების გაფლანგვა, სოციალისტური საკუთრების დატაცება.

დასასრულ ამხ. მჟავანაძემ საწარმოს კოლექტივს მადლობა გადაუხადა იმ წვლილისათვის, რომელიც მას შეაქვს რესპუბლიკის მშრომელების მიერ ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში, გამოთქვა რწმენა, რომ ეს კოლექტივი ახალ, კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს მოიპოვებს, და უსურვა შეკრებილთ ახალი შრომითი გამარჯვებანი, ჯანმრთელობა, დიდი ბედნიერება.

კრების დასასრულს ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ჰ. ჰაფარიძემ წაიკითხა კრების დადგენილების პროექტი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

— მოწონებული იქნას სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი;

— დაევალოს პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის ადმინისტრაციასთან ერთად განიხილოს როგორც ამ კრებაზე, ისე საამქრო კრებებზე გამოთქმული ყველა წინადადება და კრიტიკული შენიშვნა, ამ ბაზაზე შეიმუშაოს ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა, რომლებიც ითვალისწინებენ შინაგანი რეზერვების უკეთ გამოყენებასა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებას;

— 1970 წლის 22 აპრილის დღეს იმუშაონ დაზოგილი მასალებითა და ელექტროენერგიით;

— პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესების გზით წლის მანძილზე მიიღონ 10 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება.

საწარმოს კოლექტივის ვალდებულებებში გათვალისწინებულია ხუთწლედის დავალება შეასრულონ ვადამდე — 5 დეკემბრისათვის, კიდევ უფრო აამაღლონ შრომის ნაყოფიერება და სხვ.

მოიწონა რა დადგენილების პროექტი, კრებამ აგრეთვე მიიღო მიმართვა თბილისის სამრეწველო საწარმოების კოლექტივებისადმი, რომელშიც მოუწოდებს ახალი შრომითი გამარჯვებებით უპასუხონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილს. (საქინფორმი).



სურათზე: თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის მოწინავე ბრიგადების ხელმძღვანელები (მარცხნიდან): ა. თინაშვილი, ა. დუინამალოვი, შ. მაისურაძე და ა. ქაჩიბაია. მათი ბრიგადები პირველნი ჩაებნენ წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის განმტკიცებისათვის გაშლილ ახალ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ფოტო ვლ. ბინზბურგისა.

# საქართველოს სახალხო მეურნეობის მუშაკთა სოციალისტური ვალდებულებანი

## 1970 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის

(დასასრული)

წითელწყაროს რაიონის მეცხოველეებმა გადაწყვიტეს გაადიდონ ხორცის წარმოება 5 ათასი ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 3.600 ტონის ნაცვლად, რძისა — 13 ათას ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 11.500 ტონის ნაცვლად.

გარდაბნის რაიონის სოფლის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს ჩააბარონ 5.500 ტონა ხორცი გეგმით გათვალისწინებული 4.900 ტონის ნაცვლად, ბოსტნეული — 40 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 33.500 ტონის ნაცვლად, ხოლო ბოგდანოვკის რაიონის მეცხოველეები სახელმწიფოს ჩააბარებენ 2.300 ტონა ხორცს გეგმით გათვალისწინებული 2.100 ტონის ნაცვლად.

წალკის რაიონის მშრომელებმა გადაწყვიტეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 21 ათასი ტონა კარტოფილი, ახალქალაქისა — 12.500 ტონა, ახალციხისა — 8.000 ტონა, დმანისისა — 7.200 ტონა, რაც აღემატება საგეგმო დავალებებს.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, ბრიგადებმა, რგოლებმა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეებმა.

რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკები ვალდებულებას კისრულობენ 1970 წელს მანქანა-ტრაქტორთა პარკის წარმადობა 15-20 პროცენტით გაადიდონ.

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაკები ვალდებულებას კისრულობენ სარწყავი სისტემების მოსამზადებელი სამუშაოები დაამთავრონ რწყვის სეზონის დაწყებამდე 15 დღით ადრე, ძირითად საექსპლოატაციო ღონისძიებათა წლიური გეგმა შეასრულონ 1970 წლის 15 დეკემბრისათვის; ასაწყობი რკინაბეტონის მოცულობა წყალსამეურნეო მშენებლობაში 1970 წელს გაადიდონ 18 პროცენტით 1969 წელთან შედარებით; გეგმის გადამეტებით გამოუშვან 3 ათასი კუბური მეტრი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები.

სატყეო მეურნეობის მუშაკებმა იკისრეს: გეგმის გადამეტებით დარგონ სატყეო კულტურები 600 ჰექტარზე, განახორციელონ ღონისძიებანი ნიადაგის წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის წინააღმდეგ 3.461 ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 3.460 ჰექტარის ნაცვლად.

დამზადების სამინისტროს საწარმოთა მუშაკები ვალდებულებას კისრულობენ ხარისხიანი ფქვილის გამომუშავების წლიური გეგმის შესრულება უზრუნველყონ 1970 წლის 20 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით გამოუშვან 20 ათასი ტონა ფქვილი, 45 ათასი ტონა კომბინირებული საკვები, მათ შორის 10 ათასი ტონა — ფრინველისათვის.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებმა, სპეციალისტებმა ვალდებულება იკისრეს ფართოდ დანერგონ წარმოებაში მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება, უზრუნველყონ სასუქებისა და სარწყავი წყლის რაციონალური გამოყენება, რათა მიაღწიონ სარწყავ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შესამჩნევ ამაღლებას; გამოავლინონ და გეგმაზომიერად აითვისონ მიწის ახალი ფართობები, უზრუნველყონ ნათესების, მრავალწლიანი ნარგავებისა და პირუტყვის სანიმუშო მოვლა, განუხრელად დაიცვან მაღალი აგროტექნიკა და ზოოტექნიკა. დაამთავრონ აგროქიმიური კარტოგრამების შედგენა 479 მეურნეობაში 245 ათასი ჰექტარისათვის, განახორციელონ კოლმეურნეობებში კულტურტექნიკური სამუშაოები იმ მიწებზე, რომლებიც არ მოითხოვენ ამოშრობას, 35 ათას ჰექტარზე, გააკირიანონ მჟავე ნიადაგები 3 ათას ჰექტარზე, გათაბაშირიანებით გააუმჯობესონ 2 ათასი ჰექტარი ბიცობი ნიადაგი. ბეჯითად დანერგონ და აითვისონ თესლბრუნვა, ფართოდ დანერგონ ნათესების დამუშავების კომპლექსური მექანიზაცია, აამაღლონ მექანიზაციის დონე მრავალწლიან ნარგავებსა და მეცხოველეობის ფერმებში.

### მშენებლობასა და საქალაქო მეურნეობაში

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციათა და სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს:

— სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა შეასრულონ 29 დეკემბრისათვის, ხოლო სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის გამოშვების გეგმა — 28 დეკემბრისათვის;

— ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის საექსპლოატაციოდ გადასცენ 80 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ელევატორი ქუთაისის წისქვილკომბინატში, ბორჯომის პურის ქარხანა, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებანი 760 ბავშვისათვის და სხვა ობიექტები;

— ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე შეასრულონ სასკოლო მშენებლობის წლიური გეგმა — საექსპლოატაციოდ გადასცენ სკოლები 16.475 მოსწავლისათვის;

— ვადამდე დაამთავრონ ობიექტების მშენებლობა რუსთავის ქიმიურ და ქუთაისის აბრეშუმის კომბინატებში, ჭიათურის მანგანუმის ტრესტის მაღაროების, ქუთაისისა და ბათუმის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნების, რუსთავის სამსხმელო ქარხნის, მახარაძის კონსერვის ქარხნის, გალის ჩაის ფაბრიკისა და სხვ. მშენებლობა;

— შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის, მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების გზით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება 1969 წელთან შედარებით მშენებლობაში — 6 პროცენტით, ხოლო სამრეწველო საწარმოებში 7 პროცენტით;

— შეამცირონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება 1,5 პროცენტით.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მშენებელთა კოლექტივები ვალდებულებას კისრულობენ სამშენებლო სამუშაოთა წლიური გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის, მკვეთრად გააუმჯობესონ მათი ხარისხი.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა გადაწყვიტეს საგზაო-სამშენებლო და საგზაო-სარემონტო სამუშაოთა წლიური გეგმა დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით შეასრულონ 25 დეკემბრისათვის, ხოლო ხუთწლიანი გეგმა — დიდი ოქტომბრის 53 წლისთავისათვის.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს:

— კომუნალური მეურნეობის სისტემის ყველა დარგში ექსპლოატაციის, აგრეთვე საიჯარო სამუშაოთა წლიური გეგმა რესპუბლიკური ტრესტის „საქკომუნრემმშენის", სპეციალიზებული სამმართველოების „საქსანტექრემმშენმონტაჟისა" და „საქელექტრორემმშენმონტაჟის" ძალებით შეასრულონ 20 დეკემბრისათვის;

— საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის გეგმა სამინისტროს სისტემაში შეასრულონ 15 დეკემბრისათვის;

— მიაღწიონ საწარმოებსა და ორგანიზაციებში სულ ცოტა 300 ათას მანეთ ზეგეგმით მოგებას.

გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს ვადამდე დაამთავრონ განმანაწილებელი გაზსადენების მშენებლობა, გაზით მოამარაგონ ქალაქების საგარეჯოსა და გურჯაანის საცხოვრებელი სახლები და სამრეწველო საწარმოები. ქალაქები აგარა, ხაშური, ქუთაისი მოამზადონ ბუნებრივი გაზის მისაღებად.

### ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებში

ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკები ვალდებულებას კისრულობენ შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა და წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით დატვირთონ 200 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთები. დააჩქარონ ვაგონების ბრუნვა ნორმასთან შედარებით 1,5 საათით, ყოველ დღეღამეში დამატებითი ტვირთზიდვისათვის გაათავისუფლონ სულ ცოტა 500 ვაგონი. ნორმასთან შედარებით 0,5 პროცენტით გაადიდონ ლოკომოტივების საშუალო სადღეღამისო წარმადობა. მატარებლების ტარების მოწინავე მეთოდების დანერგვისა და რეკუპერაციული დამუხრუჭების ფართოდ გამოყენების საფუძველზე დაზოგონ სულ ცოტა 5 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტომეურნეობათა კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს საავტომობილო ტვირთზიდვის წლიური გეგმა შეასრულონ 25 დეკემბერს და დამატებით გადაზიდონ 750 ათასი ტონა ტვირთები. ტვირთზიდვის დანახარჯების შემცირებისა და რეზერვების უფრო სრულად გამოყენების საშუალებით მიიღონ 500 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება. 80 პროცენტამდე გაადიდონ ცენტრალიზებული ტვირთზიდვის ხვედრითი წონა.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს კოლექტივმა გადაწყვიტა ტვირთზიდვის წლიური გეგმა შეასრულოს 25 დეკემბრისათვის, ხოლო სახალხო მეურნეობაში ავიაციის გამოყენების გეგმა — 1 დეკემბერს. ხუთწლიანი გეგმა ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით შეასრულოს ვადამდე, 1 ნოემბრისათვის. ხუთწლედის მანძილზე გეგმის გადამეტებით გადაიყვანოს 225 ათასი მგზავრი, სახელმწიფოს მისცეს 3,5 მილიონი მანეთის ამონაგები და 3,8 მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მუშაკები ვალდებულებას კისრულობენ ყველა მაჩვენებლის მიხედვით ტვირთზიდვის, აგრეთვე ნავსადგურებში ტვირთების გადამუშავების წლიური გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის. წლიური გეგმის გადამეტებით კაბოტაჟით გადაზიდონ 50 ათასი ტონა ტვირთები.

რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივები განახორციელებენ მთელ რიგ სამუშაოებს კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებისათვის, სრულყოფისათვის და მათ მიერ რესპუბლიკის მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. კავშირგაბმულობის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირგაბმულობის არხების სიგრძე გაადიდონ 2.000 არხკილომეტრით, ხოლო სატელეგრაფო კავშირგაბმულობის არხებისა — 2.500 არხკილომეტრით, უზრუნველყონ გორი-ხაშურის, გალი-ტყვარჩელის, გაგრა-ბიჭვინთის უბნებზე რადიოსარელეო ხაზების საექსპლოატაციოდ ვადამდე გადაცემა, გახსნან რესპუბლიკაში კავშირგაბმულობის დამატებითი 42 განყოფილება, ვადამდე აამოქმედონ ატს-73 ქალაქ თბილისში.

### ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში

საქართველოს სსრ სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში: საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის 1970 წლის გეგმა შეასრულონ ვადამდე, 29 დეკემბრისათვის და წლის დამლევამდე მოსახლეობას მიჰყიდონ გეგმის გადამეტებით 18 მილიონი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი;

— გადაჭარბებით შეასრულონ საზოგადოებრივ კვებაში საკუთარი პროდუქციის გამოშვების გეგმა. საველე ბანაკებსა და პლანტაციებში გაასაღონ 5,3 მილიონი კერძი;

— სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების, ეკონომიური მუშაობის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების გზით მიიღონ 2.380 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება;

— რესპუბლიკის ქალაქებში გააფართოონ საცალო ვაჭრობის ქსელი დადგენილი გეგმის გადამეტებით 100 სამუშაო ადგილით და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი — 250 დასაჯდომი ადგილით; გეგმის გადამეტებით გახსნან 10 სპეციალიზებული მაღაზია, 3 თვითმომსახურების მაღაზია, 5 მაღაზია, სადაც ვაჭრობა იწარმოებს საქონლის ღია გადმოლაგებითა და ნიმუშებით, 20 მაღაზია, რომლებიც მომხმარებელს საქონელს მიაწვდიან შინ და წინასწარი შეკვეთებით ივაჭრებენ;

— რესპუბლიკის სოფლებში ააშენონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების 220 ობიექტი გეგმით გათვალისწინებული 190 ობიექტის ნაცვლად, მათ შორის: 10 უნივერმაღი, 12 სავაჭრო ცენტრი, 67 მაღაზია, 58 რესტორანი, სასადილო და კაფე, 20 პავილიონი და 9 პურსაცხობი;

— სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმა სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით შეასრულონ 105 პროცენტით;

— 5 დეკემბრისათვის შეასრულონ ფართო მოხმარების პროდუქციის გამოშვების გეგმა და წლის დამლევამდე დამატებით გამოუშვან 3 მილიონი მანეთის პროდუქცია.

„საქკონსერვხილბოსტნის" სახელმწიფო კომიტეტის ხაზით სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების 1970 წლის გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის, ხოლო ხუთწლიანი გეგმის დავალება 20 დეკემბრისათვის. მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ კონსერვის მრეწველობის, ხილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ხაზით:

— მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების წლიური გეგმა მთლიანად შეასრულონ 29 დეკემბრისათვის;

— 1969 წელთან შედარებით 4 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება;

— უზრუნველყონ კაპიტალურ დაბანდებათა წლიური გეგმის ვადამდე შესრულება და საექსპლოატაციოდ გადასცენ 45 ახალი ობიექტი, აქედან: 10 საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, 3 ტანსაცმლის ქიმიური წმენდისა და თეთრეულის სარეცხი კოოპერირებული საწარმო, 10 აბანო-საშხაპე, მსუბუქი ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების 5 სადგური.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ყოველნაირად გაუმჯობესებას.

### მეცნიერების, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში

მეცნიერების, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს თავიანთ უმნიშვნელოვანეს ამოცანებად მიაჩნიათ:

— ყოველი ღონისძიებით აჩქარებდნენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ზრდიდნენ სამეცნიერო კვლევის ეფექტიანობას, სამეცნიერო მუშაობაში იყენებდნენ თანამედროვე საშუალებებსა და მეთოდებს, რომლებიც ქმნიან შესაძლებლობას უფრო სწრაფად ვაღწევდეთ საჭირო შედეგებს: ამყარებდნენ უფრო მჭიდრო კონტაქტებს წარმოებასთან, უზრუნველყოფდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართო და დროულ დანერგვას სახალხო მეურნეობაში; გააუმჯობესონ სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება ასპირანტურის საშუალებით და ასპირანტურის გარეშე, მათი რაციონალური გამოყენება, გააუმჯობესონ სადისერტაციო შრომების ხარისხი, გააფართოონ სამეცნიერო კვლევა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში;

— ყოველი ღონისძიებით აუმჯობესებდნენ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობას; აღმოფხვრან მოსწავლეთა განთესვა სკოლიდან მე-8 კლასის დამთავრებამდე, განახორციელონ გადასვლა საყოველთაო საშუალო განათლებაზე.

— მნიშვნელოვნად განამტკიცონ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

— კიდევ უფრო გააუმჯობესონ სამედიცინო დაწესებულებების, დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების, საზაფხულო გამაჯანსაღებელი ბანაკების, პროფილაქტორიუმების მუშაობა.

• • •

საქართველოს მშრომელებს, რომლებიც კისრულობენ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ლენინის სახელოვანი იუბილეს წელი აღნიშნონ ახალი წარმატებებით სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარების გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში.

ქალაქისა და სოფლის მშრომელებს, რომლებიც მჭიდროდ შეკავშირებული არიან კომუნისტური პარტიის გარშემო, თავიანთ უმაღლეს მოვალეობად მიაჩნიათ ბეჯითად შრომობდნენ, დაუცხრომლად ამაღლებდნენ თავიანთ შეგნებულობას, ორგანიზებულობასა და დისციპლინას, იღვწოდნენ იმისათვის, რომ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, კომუნისტური მორალის პრინციპები გახდეს თვითეული ადამიანის ქცევის ნორმა და სულიერი მოთხოვნილება.

საქართველოს მშრომელები პირობას აძლევენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ პირნათლად შეასრულებენ სოციალისტურ ვალდებულებებს და ამით გაამრავლებენ თავიანთ წვლილს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიად საქმეში. (საქინფორმი).







# ალმავლობის წლები

### აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 49 წლისთავის გამო

დღეს, 18 მარტს, შესრულდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 49 წელი.

აჭარის მშრომელთა ცხოვრებაში განვლილი წლები ძირეული რევოლუციური გარდაქმნების, სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო ალმავლობის წლებია. აჭარა წინ მიდის და ვითარდება მთელ საქართველოსთან ერთად როგორც მისი განუყოფელი შემადგენელი ნაწილი.

ახლა კიდევ უფრო ნათლად მოჩანს აჭარის სახელოვანი ისტორიული, რევოლუციური წარსული, მისი შესანიშნავი აწმყო და უფრო უკეთესი მომავალი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარა გადაიქცა საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე კუთხედ. აქ ისე, როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, წარმატებით განხორციელდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და კულტურული რევოლუცია. ამან დიდი სიკეთე მოუტანა აჭარის მშრომელებს.

დიდად განვითარდა აჭარის მრეწველობა. 1921 წელს აჭარაში იყო 31 წვრილი სამრეწველო საწარმო, რომელთა მიერ გამოშვებული პროდუქცია მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქ აშენდა ბევრი ახალი სამრეწველო საწარმო, რომელთა რიცხვი ამჟამად 81-ია. აჭარის სამრეწველო საწარმოები უშვებენ მილიონობით მანეთის პროდუქციას, რომელიც კარგად არის ცნობილი არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. აჭარიდან მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იგზავნება ნავთობპროდუქტები, წყალქვეშაფრთიანი კატარღები, მანქანა-დანადგარები, ელექტროტექნიკური ხელსაწყოები, სამედიცინო პრეპარატები, ჩაი და ა. შ.

მრეწველობის მძლავრ განვითარებასთან ერთად წინ წავიდა აჭარის სოციალისტური სოფლის მეურნეობა, რომელიც სამშობლოს დიდი რაოდენობით აძლევს მაღალხარისხოვან ჩაის, ციტრუსებს, თამბაქოს, ყურძენს, მეცხოველეობისა და სხვა ძვირფას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიზარდა ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობები. ამჟამად აჭარაში ჩაის კულტურას უჭირავს 6960 ჰექტარი ფართობი, ციტრუსებს — 5940 ჰექტარი, დაფნას — 487 ჰექტარი, თამბაქოს — 1480 ჰექტარი, ვენახს — 480 ჰექტარი. ამასთან ერთად მნიშვნელოვნად ამაღლდა მოსავლიანობა.

1969 წელს, მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, აჭარის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს. მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 36.794 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი და წლიური გეგმა 111,1 პროცენტით გაანაღდეს. ჩაის პლანტაციების სრულმოსავლიანი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გასულ წელს საშუალოდ მიღებულია 5318 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

დიდი წარმატებებია მოპოვებული ციტრუსოვანი კულტურების განვითარებაში. 1969 წელს აჭარის მეციტრუსეებმა ქვეყანას მისცეს 82.200 ტონაზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი. გასულ წელს გადაჭარბებით შესრულდა თამბაქოს წარმოებისა და დამზადების გეგმაც, სახელმწიფოს ჩაბარდა 2200 ტონაზე მეტი ხმელი თამბაქო. გარდა ამისა, შესრულდა ყურძნის, აბრეშუმის პარკის, უხეში ჩაის ფოთლის, დაფნის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისა და დამზადების გეგმები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურად ზრუნავენ მშრომელთა კეთილდღეობის კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას, მის დასვენებას, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას და ა. შ.

სულ უფრო იზრდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები, რომელთა ხარჯზე მშრომელები უზრუნველყოფილი არიან უფასო განათლებით, უფასო სამედიცინო მომსახურებით, პენსიებით, სოციალური დაზღვევით, სტიპენდიებით, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში უფასო ან შეღავათიანი საგზურებით, ანაზღაურებული შვებულებებით, საბავშვო ბაგებითა და ბაღებით.

ფართო მასშტაბით ხორციელდება საბინაო მშენებლობა. გასულ წელს სახელმწიფო სახსრებით, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა დანაზოგებით და სახელმწიფო კრედიტების დახმარებით აჭარაში აშენდა 80 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობის საცხოვრებელი სახლები.

ფართოვდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მშრომელთა სამედიცინო მომსახურების საქმეში განხორციელებულია ძირეული გარდაქმნები. ახლა აჭარის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება 241 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, 964 ექიმი და 3080 ექიმის თანაშემწე. მათი რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

აჭარა შესანიშნავია არა მარტო თავისი ადამიანებით, არამედ ტერიტორიულ, ბუნებრივ-კლიმატური პირობებით. აქ ერთმანეთთან შეხამებულია მაღალმთიანი და ზღვის სუბტროპიკული კლიმატი. სწორედ ამიტომ აჭარამ სახელი გაითქვა როგორც საუკეთესო საკურორტო ზონამ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქ დიდად გაფართოვდა მოსახლეობის დასვენების კერები. ამჟამად აჭარაში არის 17 სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და ტურბაზა, სადაც ყოველწლიურად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდის მრავალი დამსვენებელი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ უზრუნველყვეს მოსახლეობის არა მარტო მატერიალური კეთილდღეობის, არამედ კულტურული დონის განუხრელი ამაღლება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტში აჭარაში იყო სულ 38 სკოლა 2920 მოსწავლით. ახლა მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. წარმატებით განხორციელდა ჯერ დაწყებითი, ხოლო შემდეგ საყოველთაო სავალდებულო 8-წლიანი სწავლება და ახლა ხდება თანდათან გადასვლა საყოველთაო საშუალო განათლებაზე. ამჟამად აჭარაში არის 434 ზოგადი განათლების სკოლა. გარდა ამისა, აჭარაში ახალგაზრდა თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურება ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალი და 7 საშუალო სპეციალური სასწავლებელი. ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებსა და სასწავლებლებში მოსწავლეთა და სტუდენტთა რიცხვი გაიზარდა 73.349-მდე. სასიხარულოა ის, რომ ამჟამად აჭარაში ყოველი მეოთხე მოქალაქე სწავლობს.

აჭარაში შეიქმნა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების ფართო ქსელი. ახლა აქ 9 ასეთი დაწესებულებაა, სადაც მუშაობს 292 მეცნიერი მუშაკი, მათ შორის მეცნიერების 9 დოქტორი და 94 კანდიდატი. ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწევიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალი, კვების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, სამკურნალო მცენარეთა საკავშირო ინსტიტუტის ამიერკავკასიის საცდელი ზონალური სადგური, თევზის მეურნეობის სადგური, ლითონის კოროზიის შემსწავლელი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბათუმის ლაბორატორია და ა. შ.

საბჭოთა ხელისუფლებამდე აჭარა მეტად ღარიბი იყო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით. ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა. 1969 წლის მონაცემებით აჭარის მოსახლეობის კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება 2 მუზეუმი, 4 კულტურის სასახლე, 18 კულტურის სახლი, 170 კლუბი და 237 ბიბლიოთეკა, გაფართოვდა კინოქსელიც. ამჟამად აჭარაში არის 154 კინოთეატრი და კინოდანადგარი.

ყოველივე ამან დიდი გარდატეხა მოახდინა აჭარის მშრომელთა კულტურულ ცხოვრებაში. დამკვიდრდა ახალი ყოფა, სოციალისტური დამოკიდებულება ადამიანთა შორის ოჯახსა და საზოგადოებაში.

ეს წარმატებები მოპოვებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვით ხალხის კეთილდღეობისათვის.

აჭარის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, ყველა მშრომელის მიერ გაწეულმა მუშაობამ პარტიისა და მთავრობის მაღალი შეფასება დაიმსახურა. ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. ეს მაღალი ჯილდო აჭარის სახელოვანი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის თავდადებული შრომის აღიარებაა.

ეკონომიური და კულტურული მშენებლობის დარგში აჭარის მშრომელთა მიერ მოპოვებული მიღწევები მართლაც დიდია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. გასაკეთებელი საკმაოდ ბევრია. ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს გამოუყენებელი რეზერვები და შესაძლებლობანი.

აჭარის მშრომელები პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ახლა თავდადებით შრომობენ პარტიისა და მთავრობის დავალებათა, სახელმწიფო გეგმებისა და აღებული სოციალისტური ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის.

ერთი თვის შემდეგ საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა დიდი ზეიმით აღნიშნავს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს. ამ დიად იუბილეს აჭარის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ახალი დიდი წარმატებებით ხვდებიან.

ეჭვი არ არის, რომ აჭარის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია, რომლებიც აღზრდილი არიან ლენინური რევოლუციური სულისკვეთებით, კიდევ უფრო გაამრავლებენ თავიანთ წარმატებებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში და თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეში.

**დ. დიასამიძე,**
აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.





ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა აჭარის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. იგი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით და უშვებს ფართო ასორტიმენტის ნავთობპროდუქტებს. ამას წინათ აქ მწყობრში ჩადგა მაღალოქტანური ბენზინის გამოსაშვები დანადგარი. ბენზინის მიღების ყველა პროცესი აქ მანქანებისა და ხელსაწყოების მეთვალყურეობით მიმდინარეობს. სურათზე № 3 საამქროს უფროსი ინჟინერი ა. ჩინჩალაძე და ზეინკალი რ. ოზმოინი საამქროს ერთ-ერთ უბანზე ამოწმებენ დანადგარ-მოწყობილობას.

ფოტო ნ. ანასტასიევისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

18 მარტს ადამიანის კოსმოსში გასვლის 5 წლისთავი

# ცხოვრება და მუშაობა ღია კოსმოსში



### მოგვითხრობს კოსმონავტი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი ა. ა. ლეონოვი

**ადამიანი გავიდა კოსმოსურ სივრცეში! ადამიანი გავიდა კოსმოსურ სივრცეში! — გაისმა პლანეტაზე „ვოსხოდ-2" ხომალდის მეთაურის პაველ ბელიაევის მშვიდი, მტკიცე ხმა. და ამ მომენტში მილიონობით ადამიანმა ტელევიზორის ეკრანებზე დაინახა კოსმონავტ ალექსი ლეონოვის პირველი ნაბიჯები კოსმოსურ სივრცეში. ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა 1965 წლის 18 მარტს — ხუთი წლის წინ.**

**კოსმონავტი მფრინავი ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვი უპასუხებს საქდესის მიმომხილველის ა. რომანოვის კითხვებზე. იგი მოგვითხრობს:**

— ადამიანს კოსმოსში დიდი პერსპექტივები აქვს. ახდება კონსტანტინე ედუარდის-ძე ციოლკოვსკის სიტყვები — კაცობრიობა დასახლდება მთელ მზის ირგვლივ სივრცეში. და ყველაფერი, რასაც ახლა მსოფლიო მეცნიერება აკეთებს კოსმოსური სივრცის კვლევისა და ათვისებისათვის,—ეს არის მნიშვნელოვანი და მრავლის აღმთქმელი ნაბიჯები ციოლკოვსკის იდეების განხორციელების გზაზე. კარგად მაქვს წარმოდგენილი უდიდესი სიძნელეები, რომლებიც აქვთ დედამიწელებს ამ ეტაპზე, როცა თანდათან მიმდინარეობს დედამიწისირგვლივი სივრცის ათვისება. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება გახდება დედამიწისირგვლივ ორბიტაზე მუდმივი ორბიტული სამეცნიერო სადგურების შექმნა. მათზე ბევრი რამ ითქვა და დაიწერა, განსაკუთრებით გასული წლის იანვრის შემდეგ, როცა საბჭოთა კავშირმა შექმნა პირველი ორბიტული ექსპერიმენტული სადგური. მაგრამ ახლა ამაზე არ ვილაპარაკებთ. თქვენ მეკითხებით, რა მნიშვნელობა აქვს, როგორია ადამიანის შრომითი საქმიანობის პერსპექტივები ღია კოსმოსში, ხომალდსა თუ სადგურს გარეთ. ეს პერსპექტივები საინტერესო, მიმზიდველი და მეტად მრავალფეროვანია.

კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ სამეცნიერო სადგურების პრობლემას, უფრო სწორად დედამიწისირგვლივ ან რომელიმე სხვა ორბიტაზე მათი შექმნის ამოცანას. მათი დამონტაჟების დროს, რა თქმა უნდა, რაციონალურად იქნება განაწილებული ფუნქციები ადამიანსა და ავტომატს შორის. მატარებელი რაკეტები აწყობის ადგილას მიიტანენ სადგურის ძირითად ბლოკებს.

აწყობა შეიძლება განხორციელდეს ავტომატურად ან ადამიანის მონაწილეობით. მაგრამ საეჭვოა, მიზანშეწონილი იყოს სადგურების წვრილი დეტალების, ცალკეული კონსტრუქციების აღჭურვა შესაპირაპირებელი დანადგარებით, ამასთან საკმაოდ რთული მექანიზმებით. აწყობის უმარტივეს სამუშაოებს, ცალკეულ შემთხვევებში კი უფაქიზეს ანუ, როგორც ზოგჯერ ვამბობთ, ფილიგრანულ სამუშაოებს შეასრულებს კოსმონავტი. ქანჩიკები და ქანჩები, მოქლონვა და რეკონსტრუქციათა შეერთების სხვა ხერხები, უეჭველია, სასარგებლო იქნება კოსმოსშიც. აღარაფერს ვიტყვი ლითონების შედუღებაზე, უამისოდ, ალბათ, იოლად ვერ გავალთ.

მაგრამ აი შეიქმნა სადგური. აჩით როდი ამოიწურება კოსმონავტის მოვალეობანი, იმისდა მიუხედავად მემონტაჟე, ასტრონომი, ფიზიკოსი, ქიმიკოსი თუ ბიოლოგია იგი. ადამიანს — ეკიპაჟის წევრს მოუხდება „სახლიდან" „ქუჩაში" გასვლა, თუნდაც იმიტომ, რომ დაათვალიეროს ან შეაკეთოს კოსმოსური ლაბორატორიის ზედაპირზე დადგმული ხელსაწყოები, ან ერთი ხელსაწყო სხვა ხელსაწყოთი შეცვალოს. უდავოა, რომ სამყაროს თუ დედამიწის ფოტოკინოგადაღება უფრო მიზანშეწონილია ღია კოსმოსიდან, ვიდრე სადგურის კაბინისა თუ ლაბორატორიის ილუმინატორიდან. შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ ბევრი ასეთი მაგალითი — კოსმოსური ობიექტის შეკეთება, მისი ტექნიკური შემოწმება პროფილაქტიკის მიზნით და სხვა.

ერთი რამ ცხადია, რომ კოსმოსში გადასაწყვეტ მეცნიერულ და პრაქტიკულ ამოცანათა გაფართოებასთან ერთად იზრდება ადამიანის საქმიანობის დიაპაზონიც, როგორც ხომალდებსა და სადგურებში, ისევე უშუალოდ ღია კოსმოსში. თქვენ იცნობთ სურათების სერიას, რომლებიც მხატვარ ანდრია სოკოლოვთან ერთად შევქმენით. ჩვენ ვცდილობდით, რომ ამ სურათებში მხატვრულ-სახვითი საშუალებებით რამდენადმე მაინც წარმოგვედგინა წინასწარ ღია კოსმოსში, ორბიტული სადგურებისა და ციური სხეულების ზედაპირზე მომავალ სამუშაოთა რეალური მასშტაბი და ხასიათი.

წინასწარ ვიცი, რომ დიდი სიძნელეები შეგვხვდება. ამაში დამარწმუნა საკუთარმა „მოგზაურობამ" 1965 წლის მარტში. არ უნდა დავივიწყოთ მთავარი: ადამიანს ყოველთვის მოუწევს მუშაობა კოსმოსურ სივრცეში — მუდამ მოქმედი არახელსაყრელი ფაქტორების — უწონობის, რადიაციული ვითარების, ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობის, უჩვეულო მზის განათების პირობებში. მოვიყვან პატარა მაგალითს: ფოტოაპარატით მუშაობის დროს უხერხულად მივბრუნდი მზისკენ, რის შედეგად მზის სხივი შეიჭრა ობიექტივში და სერიოზულად შეუშალა ხელი გადაღებას.

ამ უჩვეულო პირობების გამო გაჩნდა სკაფანდრები. ისინი ადამიანს იცავენ კოსმოსური გარემოს მავნე ზეგავლენისაგან, მაგრამ ეს შრომისათვის საუკეთესო „სპეცტანსაცმელი" როდია. როცა შევეცადე კოსმოსში შემესრულებინა სულ მარტივი საწარმოო ოპერაცია — „ვოსხოდ-2"-ის ზედაპირიდან ჩამომეღო კინოაპარატი, — გაცილებით მეტი ენერგია დავხარჯე, ვიდრე დედამიწაზე დამეხარჯებოდა.

რატომ? იმიტომ, რომ უნდა დამეძლია სკაფანდრის ერთგვარი უხეშობა, რომელიც განიცდიდა გარკვეულ შინაგან წნევას. ამრიგად, სკაფანდრში ადამიანი უფრო სწრაფად იღლება. ამიტომ საჭიროა შრომისა და დასვენების გონივრული რიგითობის დაცვა. საწარმოო რეჟიმის შემუშავება მეცნიერების წინაშე წამოჭრილი ერთ-ერთი ახალი პრობლემაა. კოსმოსში შრომის მეცნიერული ორგანიზაცია არცთუ ისე შორეული საქმეა. ყოველივე იქნება ისე, როგორც დედამიწაზე, — უსაფრთხოების ტექნიკაც და შრომის დაცვაც. ასე რომ, ადამიანის შრომითი საქმიანობა დედამიწის ფარგლებს გარეთ განაპირობებს ცოდნის ახალი ან კოსმოსური დარგების წარმოშობას.

სკაფანდრმშენებლობა № 1 პრობლემად დარჩება. მხოლოდ საიმედო, მსუბუქი, ცხოვრებისა და შრომისათვის მოხერხებული სკაფანდრები მისცემენ საშუალებას კოსმონავტებს ნაყოფიერად იშრომონ კოსმოსის უჩვეულო მკაცრ გარემოში.

ახლა ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ის არის, რომ კოსმოსში მყოფმა კოსმონავტმა აღიქვას და შეაფასოს დრო, სივრცე, ამ მხრივ სპეციალური მეთოდოლოგიის გამომუშავება. უამისოდ შეუძლებელია რამდენადმე სერიოზულად ვილაპარაკოთ ადამიანის საწარმოო საქმიანობაზე დედამიწისირგვლივ სივრცეში. ამ კითხვებზე პასუხის გაცემას შევეცადე ექიმ ვლადიმერ ლებედევთან ერთად წიგნში, რომელიც გამომცემლობა „ნაუკამ" გამოუშვა.

მაგრამ ყველაზე აუცილებელია, როგორც მუდამ, გამოცდილება, ჩვევების შეძენა. ევგენი ხრუნოვისა და ალექსი ელისეევის ჯგუფურმა გასვლამ, მათ მიერ შესრულებულმა სამუშაოთა მნიშვნელოვანმა მოცულობამ — ისინი კოსმოსში დაახლოებით ერთ საათს იყვნენ — საგრძნობლად გააფართოვა ჩვენი ცოდნა ამ დარგში.

მე დაწვრილებით ვილაპარაკე იმის შესახებ, რომ ადამიანმა ბევრი რამ უნდა გააკეთოს და ნაყოფიერად უნდა იმუშაოს ღია კოსმოსში. ეს ნიშნავს იმას, რომ მას დასჭირდება სულ სხვადასხვანაირი ინსტრუმენტი. ვფიქრობ, რომ ნახევრად ავტომატები, პნევმატური ჩაქუჩები, სახრახნისები, გასაღებები და ბევრი სხვა შევა კოსმონავტის აღჭურვილობის არსენალში. ვითარება, უდავოა, მოითხოვს აგრეთვე ახალი ინსტრუმენტების შექმნას.

საჭიროა აგრეთვე შეიქმნას მინი-ტრანსპორტი, ანუ ძრიები, რომლებიც კოსმონავტს საშუალებას მისცემენ ადვილად გადალახოს მოკლე მანძილი. ე. ხრუნოვისა და ა. ელისეევის გამოცდილება, რომლებიც ხელებით „დადიოდნენ", რა თქმა უნდა, შეიძლება გამოვიყენოთ ზოგიერთ შემთხვევაში. ხელები უნდა ასრულებდნენ იმ მოვალეობას, რომელიც მათ ბუნებამ დააკისრა.

ყოველივე, რაც მე გიამბეთ, შორეულ მომავალს განეკუთვნება. მეცნიერება კოსმოსის შესახებ, კოსმოსური ტექნიკა არაჩვეულებრივი სისწრაფით ვითარდება. ამასთან წარმოებს მიწიერი და კოსმოსური მეცნიერების ურთიერთგავლენა და ურთიერთგამდიდრება. ერთი სიტყვით, კოსმოსში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინერგება და კვლავაც დაინერგება ბევრი მიწიერი რამ. სოციალისტური შეჯიბრება კოსმოსური ობიექტების ვადამდე ამოქმედებისათვის, ბრძოლა საშუალებებისა და მასალების მომჭირნეობისათვის, რეზერვების ძიება, კრებები კრიტიკითა და თვითკრიტიკით, მახიობების სტუმრობა ორბიტულ სადგურებში, როგორც ეს ახლა ხდება ანტარქტიდის პრაქტიკაში, — ყოველივე ეს იქნება.

კოსმოსი დროთა განმავლობაში შეივსება უსასრულო და უამრავი ხელოვნური „ოაზისით" ჩვენი დედამიწის მსგავსად.

### საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების დღესასწაული




# ბგერის ხელოვნება

### ემილ გილელსის კონცერტზე

„მისთვის ჭეშმარიტად ცნობილია, რომ მუსიკა უწინარეს ყოვლისა ბგერის ხელოვნებაა", წერდა გილელსის შესახებ პროფესორი გ. ნეიგაუზი. მართლაც, მუსიკალური სახეების არსის ცხადყოფაც, ემოციების, ნაწარმოების სტილის გადმოცემაც — ყველაფერი ეს უწინარეს ყოვლისა ბგერასთან არის დაკავშირებული. ბგერა მძლავრად მოქმედებს ადამიანის ყველა გრძნობაზე. მას მაგიური ძალა აქვს, მაგრამ ადამიანს მისი გასაღების მიგნება უნდა შეეძლოს.

გილელსიც მიაგნებს ხოლმე. იგი ფორტეპიანოზე აღადგენს ორღანის, ორკესტრის, ადამიანის ხმის ფერებს და... ბოლოს ჩვენი ჩვეულებრივი თანამედროვე ფორტეპიანოს ფერებსაც. აქ გინდა ილაპარაკო არა მარტო ფერებზე, არამედ სულ სხვადასხვა ბგერითი სურათების ბრწყინვალე მჭევრმეტყველებაზე. მაქსიმალურად იყენებს რა თანამედროვე ფორტეპიანოს კოლორიტულ შესაძლებლობებს, პიანისტს კლასიკური მუსიკის შესრულებაში შეაქვს არსებითი სიახლე, რომელიც შესაძლოა მიუწვდომელი იყო ძველი ოსტატებისათვის მათს განკარგულებაში არსებული ინსტრუმენტების შეზღუდულ შესაძლებლობათა გამო. მაგრამ ეს სიახლე ამდიდრებს კლასიკურ ხელოვნებას და სულაც არ ეუცხოება ეპოქის სტილს.

გილელსის ტუშე მკვრივად გაჯერებულია და ამავე დროს რბილი და ხავერდოვანი. მისი ბგერა მყისვე იპყრობს ყურადღებას, მოქმედებს წარმტაცი ძალით, სულ ერთიაასრულებს პიანისტი ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენის კლასიკურ მუსიკას თუ ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი გამოჩენილი კომპოზიტორის პროკოფიევის ნაწარმოებს. მსმენელს ექმნება თითქმის კლასიკური შეგრძნება, თითქოს მაღალი ძაბვის ჯაჭვი ჩართეს, რომელიც კონცერტის ბოლომდე აღარ წყდება.

შევეცადოთ ანალიზი გავუკეთოთ ჩვენს შეგრძნებებს, გამოწვეულს დიდ არტისტთან შეხვედრით, რომელსაც თავისი პროგრამა აუგია სწორედ ფორტეპიანოს ბგერის დარგში გასაოცარ მიღწევათა გათვალისწინებით.

ბახის პრელუდიამ და ფუგამ ორღანისათვის, რომელიც ბუზონის ფორტეპიანოზე შესასრულებლად დაუმუშავებია კონცერტისათვის, მოხიბლა მსმენელი თავისი ნამდვილი ორღანული ჟღერადობით. პიანისტმა, როგორც დახელოვნებულმა ხუროთმოძღვარმა, შეძლო შეექმნა არქიტექტონიკის შესანიშნავი ნაწარმოები სულ სხვადასხვა ტემბრალური ფენების ცვალებადობით, სადაც პედალიზაციის ხელოვნებას დათმობილი ჰქონდა უმნიშვნელოვანესი ადგილი. ეს განსაკუთრებით პრელუდიას ეხებოდა. ფუგის შესრულება გვაოცებდა რკინისებური და ამავე დროს მოქნილი რიტმით. მისი მარტივი, სადა თემა შესანიშნავად იყო ნაჩვენები ექსპოზიციაში, ამასთან თვითეული ახალი ხმის ჩართვა აღინიშნებოდა არა დინამიკური ინტენსივობით (როგორც ჩვეულებრივად არის მიღებული), არამედ ტემბრების სიმდიდრით. სამაგიეროდ დამუშავებასა და რეპრიზში დინამიკური ტალღები ზოგჯერ აღწევდნენ უაღრესად მასიურ ჟღერადობას, რომელიც, თუმცაღა, თავისი მოქნილობის გამო არასოდეს არ გვეჩვენებოდა მეტისმეტად მაგარი.

ლა მინორულ სონატაში პიანისტმა სულ სხვა ბგერითი ამოცანები დაისახა. აქ პიანისტი მოცარტის დროის კამერული ორკესტრის ჟღერადობას აღადგენს. ამ ბგერით გილელსს მსმენელამდე მიაქვს ფაქტურის წმინდა მოცარტისებური გამჭვირვალება, პასაჟების, არტიკულაციების უფაქიზესი ხერხების გამომსახველობა, რომელიც მოცარტის დროს ფერზე, დინამიკაზე, პედალზე უფრო არსებითი იყო. და გილელსი თითქოს აღადგენს ინტონირების წმინდა ინსტრუმენტულ პრინციპებს, გვაოცებს თვითეული მიკროელფერის ზღვრული გამომსახველობით, ლეგატო და სტაკატო კონტრასტების ვირტუოზული ფლობით. მომხიბლავად გაისმა სონატის ფინალი, მეტადრე რონდოს წამოწყება, რომელიც თვითეულ შემთხვევაში ახლებურად არის გადმოცემული.

ბეთჰოვენის მუსიკის ოკეანეში აღარ არის მოცარტისებური დეტალიზაცია, ფაქიზი ნიუანსირება ადგილს უთმობს კონტრასტულ სახეებს, გაამძაფრებულ დაძაბვას. ასეთი ბეთჰოვენის საშემსრულებლო პროტოტიპს ჩვენ ვიპოვნით არა პიანისტებში, არამედ უფრო კლემპერერის ან ფურტვენგლერის ტიპის დირიჟორებში. „მთვარის სონატის" განთქმულ ადაჟიოს გილელსი ძალიან გაჯერებულად უკრავს. აქ ყველაფერი მღერის: მელოდიაც და ტალღისებრი აკომპანემენტიც და მომავალი ქარიშხლების მაუწყებელი დაბალი ნოტებიც ბასში! დასამახსოვრებელია ალეგრეტოს და, რაც მთავარია, ფინალის დახვეწილი შესრულებაც, მისი ნამდვილად სიმფონიური ჟღერადობით. პიანისტმა იგი დაიწყო ემოციურად რამდენადმე თავშეკავებულად, განზრახ მკაფიოდ უკრავდა აღმავალ პასაჟებს. მაგრამ უკვე რეპრიზში გატაცება თითქოს ბორკილს წყვეტს და ყველაფერს აღგვის თავის გზაზე. მაგრამ ეს მხოლოდ გვეჩვენება. კოდში, მართლაც ტიტანური ჟღერადობისას, პიანისტი კიდევაც ანელებს ტემპს, როგორც, გადმოცემის თანახმად, ამას თვითონ ბეთჰოვენი აკეთებდა.

პროკოფიევის მერვე სონატის შესრულებამ მოგვხიბლა აზრის სიღრმით, შესანიშნავი ლირიკული სახეებით, ვირტუოზული ბრწყინვალებით, მოტორულ დაძაბვათა ულმობელი სიმძლავრით ფინალში გამომსახველმა ბგერითმა ეფექტებმა ზღვრულ შთამბეჭდავ ძალას მიაღწია. თითქოს ზუსტად შევიგრძნობთ მძიმე თქარათქურს, გრიგალის გუგუნს, გამაყრუებელ სტვენას. შესანიშნავად იყო გადმოცემული სონატის დასკვნის აღტაცების გამომხატველი მელოდიები. პროკოფიევის მერვე სონატა, რომელიც შემსრულებლისაგან მოითხოვს ტექნიკური ოსტატობის მწვერვალებს ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, გილელსის ერთ-ერთი ძირითადი ნომერია მრავალი წლის მანძილზე. იგი სონატის პირველი ინტერპრეტატორი იყო ჯერ კიდევ 1944 წელს.

ასეთი მდიდარი პროგრამის შემდეგ შესანიშნავმა მსახიობმა გაგვახარა შუმანის „არაბესკების" ნაზი გამომსახველი ჟღერადობით, მენდელსონის „ჯარას" კოლორიტული ეფექტებით, მაგრამ გინდოდა კიდევ და კიდევ გესმინა, თბილისის ოპერის თეატრის კედლები იშვიათად ყოფილა აღტაცების ასეთი მგზნებარე გამოხატვის მოწმე.

**მარგარიტა ვაჩნაძე,**
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

# ასეთია დღევანდელი აფიშა

ერთი კვირაა საქართველოს დედაქალაქში მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების დიდი ზეიმია, „საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების დღესასწაულია".

დღეს, 18 მარტს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში განმეორებით გამართავს კონცერტს ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ემილ გილელსი.

ფილარმონიის საზამთრო დარბაზში მაყურებელთა წინაში წარსდგება საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ბიბიგულ ტულეგენოვა.

დღესასწაული გრძელდება.

## გაავრცელეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ნიუ-იორკი, 17 მარტი. (საქდესი). სსრ კავშირის წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაავრცელა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რ. ნიქსონისადმი ლაოსში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

## სსრ კავშირ — ირანის თანამშრომლობა

თეირანი, 16 მარტი. (საქდესი). ირანის ეროვნულმა მეტალურგიულმა კორპორაციამ საზეიმოდ აღნიშნა ირანში პირველი მძიმე ინდუსტრიის ცენტრის — ისპაჰანის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის მეორე წლისთავი. ეს ქარხანა საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით შენდება. ორი წლის მანძილზე საბჭოთა და ირანელი სპეციალისტების მჭიდრო თანამშრომლობით იქმნება ირანის მეტალურგიული გიგანტი.

დედაქალაქის ერთ-ერთ მუზეუმში გაიხსნა დიდი ფოტოგამოფენა, რომელიც ეძღვნება ირანელი და საბჭოთა მუშებისა და ინჟინრების შრომას, რომლებიც ქმნიან მეტალურგიულ ქარხანას, სამთამადნო და ქვანახშირის ბაზას.

# პროგრესული საზოგადოების ხმა

ბონი, 16 მარტი. (საქდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ 19 მარტს ერფურტში უნდა შეხვდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ვ. ბრანდტი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი, დასავლეთ გერმანიის პროგრესული საზოგადოებრიობა სულ უფრო დაბეჯითებით მოითხოვს ბონისაგან ცნოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა საერთაშორისო-სამართლებრივი თვალსაზრისით.

ამ დღეებში დიუსელდორფში, ზოლინგენში, ლევერკუზენსა და სხვა ქალაქებში გაიმართა გერმანელთა კომუნისტური პარტიის რაიონული კონფერენციები, რომლებზეც მიიღეს რეზოლუციები და წერილები კანცლერ ბრანდტისადმი. მათში ხაზგასმულია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობა მხოლოდ მოიგებს, თუ საერთაშორისო-სამართლებრივად ცნობს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

საერთაშორისო - სამართლებრივ საფუძველზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ურთიერთობის ნორმალიზაცია, აღნიშნავენ ამ კონფერენციების მონაწილენი, შეანელებს დაძაბულობას და შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად შევამსუბუქოთ შეიარაღების ტვირთი, რომელიც მშრომელებს აწევთ კისრად. „არ შეიძლება ვიქონიოთ რაიმე საერთო ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირ — ქრისტიანულ-სოციალურ კავშირთან, არ უნდა დავუჯეთ ნეონაცისტთა და ცივი ომის მომხრეთა ზემოქმედებას", — მოითხოვენ ბონისაგან გერმანელთა კომუნისტური პარტიის კონფერენციის მონაწილენი ქვემო საქსონიის მხარეში.

არა მარტო კომუნისტები, არამედ ბევრი სოციალ-დემოკრატი, პროფკავშირების, აგრეთვე მოსახლეობის სხვა წრეების წარმომადგენლები მიესალმებიან ბრანდტისა და შტოფის მომავალ შეხვედრას, ხაზგასმით აღინიშნა გერმანელთა კომუნისტური პარტიის რურ-ვესტფალიის ოლქის ორგანიზაციის თავმჯდომარემ მ. კაპლუკმა.

## საკადრისი პასუხი

კაირო, 16 მარტი. (საქდესი). ისრაელის ავიაცია დღეს კვლავ შეეცადა დაებომბა ეგვიპტის ჯარების პოზიციები.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლის განცხადებაში, რომელიც მენის სააგენტომ გაავრცელა, ნათქვამია, რომ დღეს შუადღისას ისრაელის თვითმფრინავების სამმა ჯგუფმა დაარღვია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საჰაერო სივრცე ქალაქ პორტ-საიდის სამხრეთით, აგრეთვე ქალაქების ელ-კანტარისა და ისმაილის რაიონებში. საზღვრის დამრღვევ თვითმფრინავებს დაუყოვნებლივ შეებნენ ეგვიპტის ავიაგამანადგურებლები, რომლებმაც ბრძოლის დროს ჩამოაგდეს ერთ-ერთი მათგანი.

## თვითმფრინავები—აგრესორს

ვაშინგტონი, 17 მარტი. (საქდესი). თეთრი სახლის მდივანმა პრესის საკითხებში რ. ზიგლერმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი რ. ნიქსონი გუშინ ეთათბირებოდა სახელმწიფო მდივანს უ. როჯერსს. მათ განიხილეს, კერძოდ, ისრაელისათვის ამერიკული იარაღის მიწოდების პრობლემა. ზიგლერმა თქვა, რომ ამერიკის მთავრობა ახლა განიხილავს ისრაელისათვის ამერიკული იარაღის, მათ შორის „ფანტომის" ტიპის რეაქტიული ავიაგამანადგურებელ - ბომბდამშენების დამატებით მიწოდების საკითხს. მან აღნიშნა, რომ თეთრი სახლის გადაწყვეტილება ამ საკითხზე მიმდინარე კვირის ბოლოს გამოცხადდება.

## არასასურველი სტუმარი

ჰავანა, 16 მარტი. (საქდესი). პერუს დედაქალაქ ლიმაში არაოფიციალური ვიზიტით იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ამერიკის სახელმწიფოთა საქმეებში ჩ. მეიერი, რომელიც 12 დღეს იმოგზაურებს ლათინური ამერიკის სამ ქვეყანაში — ბოლივიაში, პერუსა და ჩილეში. ამერიკელი მაღალი თანამდებობის პირის მარშრუტის არჩევანი საგულისხმოა. სწორედ ამ ქვეყნებში მიმდინარეობს პროცესები, რომლებიც ასე აშფოთებენ ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტურ წრეებს.

## კინოფესტივალი მარ-დელ-პლატაში

ბუენოს-აირესი, 17 მარტი. საქდესის სპეციალური კორესპონდენტი მ. არტიუშენკოვი გვატყობინებს:

ჰუმანიზმისათვის, იუმორისა და სახეების ბრწყინვალე გალერეისათვის მე-10 საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურიმ, რომელიც მიმდინარეობდა არგენტინის ქალაქ მარ-დელ-პლატაში 5-დან 15 მარტამდე, ერთსულოვნად მიანიჭა ფესტივალის პრიზი „კონდორი" საბჭოთა მხატვრულ ფილმს „არ დაიდარდო", რომელიც დადგეს კინოსტუდიებმა „მოსფილმმა" და „ქართულმა ფილმმა".

გრან-პრი „დიდი კონდორი" მიენიჭა ბრაზილიურ ფილმს „მაკუნაიმას". პოლონეთის მხატვრულ ფილმს „კრისტალის სტრუქტურა" მიანიჭა პრემია „კონდორი" საუკეთესო სცენარისათვის. საუკეთესო რეჟისურისათვის ჟიურიმ პრემიით დააჯილდოვა ამერიკული ფილმი „უკანასკნელი ზაფხული".

### მხოლოდ ფაქტები

## პ. ინგრაოს მოხსენება

რომი, 17 მარტი. (საქდესი). გუშინ აქ იტალიის კომპარტიის გენერალური მდივნის ლუიჯი ლონგოს თავმჯდომარეობით მუშაობა დაიწყო იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. მოხსენება — „კომუნისტები და პოლიტიკური კრიზისი" — გააკეთა იტალიის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა პიეტრო ინგრაომ.

## ბრაზილიის ამბები

ლონდონი, 16 მარტი. (საქდესი). ბრაზილიის ხელისუფლებმა საპყრობილიდან გამოუშვეს ხუთი პოლიტპატიმარი, რომლებიც დაუყოვნებლივ გაემგზავრნენ მექსიკაში. მათ სანაცვლოდ გაათავისუფლეს იაპონიის გენერალური კონსული სან-პაულუში ნობუო ოკუჩი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ უცხო პირებმა გაიტაცეს.

როგორც კი კონსული გაათავისუფლეს, ხუთი ათასმა პოლიციელმა დაიწყო მასობრივი ჩხრეკა-დაპატიმრება, რათა იპოვონ მისი გამტაცებლები. მთებში მიმავალ გზებზე მოწყობილია საგუშაგოები, რომლებიც აჩერებენ და ჩხრეკენ ავტომობილებს. პოლიციის სპეციალური რაზმები ჩხრეკენ ქალაქს.

# მსოფლიო დღე

# დღეს საბჭოთა აჭარაში



ზამთარ-ზაფხულ მწვანეში ჩაფლულია კურორტი მახინჯაური. ამ სურათზე თქვენ ხედავთ კურორტის ერთ-ერთ კუთხეს.

ფოტო ს. ანჯელოსი.

## მზადდება მხოლოდ ბათუმში

[illegible]

სერიული გამოშვება. აღსანიშნავია, რომ ბათუმის მარკის ელექტროურიკები იგზავნება მსოფლიოს 15 ქვეყანაში. მათ შორის აფრიკის ქვეყნებისათვის უშვებენ ტროპიკული ტიპის მანქანებს.

## ტექნიკა პლანტაციებში

[illegible]

## ნარინჯოვანთა სიუხვე

[illegible]

## კოოპერირება ახალი მანქანა

[illegible]



გზატკეცილი ბათუმისაკენ მიდის.

ფოტო შ. ბაბაიანისა.

## ახალი დადგმა

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრმა ამას წინათ მაყურებელს უჩვენა გ. კანდელაკის ქეროიკული პიესა „დრო 24 საათი", რომელშიც ასახულია აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლა.

სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა გიორგი ქავთარაძემ. მხატვრობა გაუთვნის ანზორ ნიჟარაძეს, მუსიკა დაწერა გ. სიხარულიძემ.

წარმოდგენაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ი. კობალაძე, ა. მგელაძე, მ. ხინიკაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები გ. ახვლედიანი, შ. გუჯაბიძე, გ. გოგიბერიძე, გ. იმნაიშვილი, ნ. კეჭაყმაძე, ი. ცანავა, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტები გ. დოლიძე, თ. დავდიშვილი, ს. თურმანიძე, ნ. მჟავანაძე, ნ. საკანდელიძე, ა. ტაკიძე და სხვები.

ახალი დადგმა, რომელიც მიეძღვნა ბელადის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს, მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

## კურორტებზე ემზადებიან

ზღვის შესანიშნავი პლაჟები, მთისა და ზღვის სამთო ჰაერი, მარადმწვანე გორაკები და დაბურული ხეივნები, კეთილმოწყობილი სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები — ასეთია თანამედროვე ჯანმრთელობის კერები. მათი რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ვინ არ აღფრთოვანებულა მახინჯაურის, მწვანე კონცხის, ციხისძირის, ქობულეთის, ბეშუმის, მთა ცისკარის ხილვით. ყოველწლიურად აჭარაში 150 ათასამდე ტურისტი და დამსვენებელი ჩამოდის.

ამჟამად აჭარის კურორტების სეზონურ და ჯანმრთელობის მუდმივ კერებში ახალი სეზონისათვის გაცხოველებული მზადება მიმდინარეობს.

(საქ. კორ.).

## შრომის მეცნიერული ორგანიზაცია

წარმოების ზრდასა და ტემპზე მთავარი გავლენა მოახდინა წარმოების დაგეგმვისა და სტიმულირების ახალმა სისტემამ. ახლა ბათუმში ახალ სისტემაზე მუშაობს საწარმოთა 86 პროცენტზე მეტი.

ტექნიკური პროგრესის ამოცანების გადაწყვეტაში დიდ როლს ასრულებენ სამეცნიერო-ტექნიკური და გამომგონებელ-რაციონალიზატორთა საბჭოები. მათი წევრების რიცხვი 10.000 კაცს აღწევს.

უკანასკნელ ორ წელიწადში დაინერგა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა 2.000-მდე წინადადება, რის შედეგადაც მიღებულია 4,3 მილიონი მანეთის ეკონომია. (საქ. კორ.).

# თქვენი ქმარი

ქმრებს უნდა ვუფრთხილდებოდეთ. რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ ისინი ამის ღირსნი არიან. თუმცაღა, ცუდი კაცი ქმარი არ უნდა იყოს. არც ჩემი, არც თქვენი. დაიტანჯოს მარტოხელობაში. ქმრებს კი უნდა ვუფრთხილდებოდეთ.

სოციოლოგებმა, რომლებიც ოჯახის პრობლემებს სწავლობენ, გამოარკვიეს, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს საინტერესო პროცესი: ხდება ქალის თავისებური დავაჟკაცება. იგი (ეს იგი ჩვენ და თქვენ) სულ უფრო ძლიერი, სულ უფრო დამოუკიდებელი, სულ უფრო... ვაჟკაცური ხდება. მთლიანად საზოგადოებისათვის ეს, შესაძლოა, კარგიც იყოს. მაგრამ ოჯახისათვის? ოჯახისათვის, ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, რომ უფრო ვაჟკაცურნი მასში მაინც მამაკაცები რჩებოდნენ.

და ამისათვის ქალმა, ასეთმა დამოუკიდებელმა, ასეთმა თანასწორუფლებიანმა, უნდა გაიხსენოს, რომ იგი, ყოველივე სხვას გარდა, ცოლია. რომ ძველი სიტყვა „გათხოვება" დღესაც იმას ნიშნავს, რასაც წინათ, — „ქმარზე გათხოვებას". რომ, როცა ვთხოვდებით, არა მარტო, ქმრის გვარს ვიღებთ, არამედ ზოგიერთ ვალდებულებასაც. და უწინარეს იმ ვალდებულებას, რომ პატივს ვცემდეთ მას...

ანა გრიგოლის ასული უკრაინცევა, დეიდა ნიუშა, რომელსაც ბავშვობიდან ვიცნობ და მიყვარს, აი ასეთი, ნამდვილი ცოლი იყო. ამას ერთბაშად როდი მივხვდი. გოგონა ვერც მიხვდება ყველაფერს. როცა ომამდე მთელ დღეებს ვატარებდი ჩემს დობილ ვალკასთან, უბრალოდ მათსას მყუდროდ ვგრძნობდი თავს. ყველაფერი მომწონდა მის სახლში: გაფუმფულებული ბალიშებიც მაღალ საწოლზე, ბაბთიანი კიდეებიც ზეწრებზე, გემრიელი, უხვი საჭმელიც, იმის შესაძლებლობაც, რომ ყველაფერზე მოურიდებლად მეტიკტიკა. დეიდა ნიუშას ყველაფერს სიტყვაშეუბრუნებლივ ვუჯერებდი, ისე მშვიდად ითხოვდა გამეკეთებინა ესა თუ ის და არ გამეკეთებინა ესა თუ ის. მას ხელს არ უშლიდა პატეფონის საათობით დაკვრა, არ აჯავრებდა არც ჩვენი ცეკვა, არც ის, გაკვეთილებს ხმამაღლა რომ ვიზეპირებდით. მაგრამ ხუთ საათზე ჩვენ დავჩუმდებოდით ხოლმე. ყოველთვის ერთსა და იმავე დროს. იმიტომ რომ ექვსის ნახევარზე ძია მიტია უნდა მოსულიყო. მას ძალიან იშვიათად ვხედავდი, ჩვენ გვეშინოდა არ დაგვერღვია მისი სიმშვიდე, მისი ის უფლება, რომ სიჩუმე ყოფილიყო, მას გაზეთი წაეკითხა, რადიო მოესმინა. ძია მიტია, სალაროს აპარატების ზეინკალი-ამწყობი, ოჯახის მეთაური, ისე ელვარებდა ჩემს თვალში როგორც მონბლანი. იგი მუშაობდა, ილლებოდა, და უკრაინცევების ოჯახი, თვით ოთახიც მისი მოსვლისათვის ისე ემზადებოდა, როგორც დღესასწაულისათვის.

მხოლოდ ომის პირველ არც თუ მაძღარ წლებში დავაფასე დეიდა ნიუშას ოსტატობა, ცოლად ყოფნის ოსტატობა. მე და დედაჩემი მოსკოვში დავბრუნდით ორმოცდაორი წლის ზაფხულში. ძია მიტია როგორც სპეციალისტი ფრონტზე არ წაეყვანათ. მაშინვე მივირბინე მათთან. და მაინცდამაინც საღამოს. ვახშმობისას. მე სუფრასთან დამსვეს. დეიდა ნიუშამ ჩაიდანი შემოიტანა. დადგა ორი საშაქრე, დადო ორი თანასწორი ყუა პური. ორი თანასწორი ნაჭერი ქონი. ერთ ყუა პურს სამი ნაჭერიც მოსჭრა, დადო მათზე თითო ნაჭერი ქონი, გადმოგვიდგა მე და ვალკას ჩაი: დალიეთ, ჭამეთო. და თვითონაც დაჯდა. ძია მიტია ცალკე ჭამდა. თვითონ ჭრიდა თავის პურს, თავის ქონს, ჩაიში ყრიდა თავის შაქარს. როცა ვალკამ კიდევ ნაჭერი პური ითხოვა, ძია მიტიამ თქვა: „სტუმარს ჩემი ნაჭრიდან მოუჭერით". ასე იცავდა ის სამართლიანობას.

პირველად იყო, მათგან გულდამძიმებული რომ მივდიოდი. დეიდა ნიუშამ გამაცილა: „ნუ გაჯავრდები ძიაზე. მას უჭირს... მამაკაცები ნაკლოვანებებთან შეგუებული არ არიან". იგი ახლაც ცდილობდა დაეცვა ამ მწვერვალის ელვარება.

იმიტომ რომ ძია მიტია მისი ქმარი იყო. ამ ჩვეულებრივ სიტყვაშეხამებაში მე მხოლოდ შემდეგ ვისწავლე სწორად, დეიდა ნიუშასავით, ჩახვილი დამესვა სიტყვა ქმარზე. იგი პატივს სცემდა ქმარს: ოდესღაც თავისი თავი რომ ანდო, შემდეგ თავისი ბავშვი, ერთხელვე რომ იწამა, რაც მასში კარგი იყო, ამ კარგისათვის ბოლომდე იბრძოდა. იმიტომ რომ ესმოდა — ქმარი ქმარია.

იგი მუდამ ძალიან უფრთხილდებოდა ოჯახს. ახლაც უფრთხილდება. იქნებ იმიტომ, რომ ამაშია მისი სიცოცხლე?

იქნებ საქმიანი, სერიოზულად დასაქმებული ქალისათვის ყოველივე ეს სისულელეა? იქნებ მისთვის სწორედ ზრუნვის უქონლობაა მშვენიერება.

მე ვიცნობდი ერთ შესანიშნავ ქალს. იგი ჭკვიანიც იყო, ძლიერიც, საქმიანიც, სახელგანთქმულიც კი. არა, იგი მარტოობაში როდი იტანჯებოდა: ჰყავდა ქმარი და შვილები. მერე როგორი ქმარი! იგი აფასებდა ცოლის ნიჭს, ყურადღებით ეპყრობოდა მას, კეთილი იყო, ყოველთვის ახერხებდა ჩრდილში მოქცეულიყო. ყველანი მიეჩვივნენ იმას, რომ იყო ეს ქალი და იყო მისი ქმარი. ქმარი ახერხებდა ისე მოქცეულიყო მის ბრწყინვალე ჩრდილში, რომ ეს არც ქმარს ამცირებდა, არც ცოლს. იგი გეოლოგი იყო... როცა მოკვდა, ცოლმა მისი დაკარგვისას დაინახა ისეთი რამ, რამაც იგი თვით დანაკლისზე უფრო მეტად შეარყია: დაკრძალვაზე მოვიდა ასამდე კაცი, რომლებიც აბსოლუტურად უცნობი იყვნენ მისთვის, ისინი ლაპარაკობდნენ მის ქმარზე როგორც თავიანთ მეგობარზე, მასწავლებელზე, უბრალოდ სახელით იხსენიებდნენ მას და ტიროდნენ. მათ დაკარგეს ადამიანი, რომლის თვისებები და ღირსება მისთვის უცნობი იყო. იგი მიხვდა, რომ მის გვერდით ცხოვრობდა თავისთავად არაჩვეულებრივი ადამიანი, რომელსაც შეეძლო ამავე დროს მისი ქმარიც ყოფილიყო. ბევრმა იცოდა ეს. მან კი მხოლოდ ახლა შეიტყო. მეტად მძიმე განცდა იყო. ნუგეშად მხოლოდ ერთი რამ ჰქონდა: თავის სიბრმავეში მას არასოდეს არ დაუმცირებია ეს კაცი არც სიტყვით, არც საქმით. სასაცილოდ არ გაუხდია იგი.

ეს ზურგში დანის ჩაცემა იქნებოდა. არიან კი ისეთი ქმრები, რომლებიც შეჰგუებიან ასეთ დანას, და ატარებენ ისე, რომ ვერც კი ამჩნევენ. ხოლო ზოგი კიდევაც ამჩნევს, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს.

ქალი ოცი წლის წინათ გათხოვდა. და უკვე მაშინ მიხვდა, თუ როგორ გაუღიმა ბედმა. ქმარი სწორედ ისეთი იყო, როგორზეც ოცნებობდა: ძლიერი, ჭკვიანი, სერიოზული და... „პერსპექტიული". ეს ქალი არც დეიდა ნიუშა იყო, არც ელვარე ტალანტი, და მას სჭირდებოდა „პერსპექტიული" ქმარი. უყვარდა იგი და სჯეროდა მისი, სჯეროდა თავისი იღბლისა. ჰო და, არც შემცდარა. ქმარი ჩინებული გამოდგა. მუშაობდა, ჩაშლილ გეგმებს გადაარჩენდა, საინტერესო ტექნიკურ სვლებსა და ორგანიზაციულ შეთანხმებებს გამონახავდა, ხოლო ამასობაში მას ხარისხები, პატივისცემა ემატებოდა. მას უკვე იცნობენ არა მარტო თავის საამქროში, თავის ქარხანაში... მისთვის ქალაქიც აღარ არის მასშტაბი...

მაგრამ ამავე დროს გაიცნეს მისი ცოლიც. ჯერ ქარხნის დასასვენებელ სახლში, მერე ქარხნის გარაჟში მიხვდნენ, რომ მას ყურადღება უყვარს და რომ მასთან ხუმრობა არ გამოდგება. მერმე კი ქალაქის მაღაზიების გამყიდველ ქალებსაც თავზარს სცემს მისი შეხედვა და ისინი მზად არიან მას მტკიცე ხელში დაუყოვნებლივ გადასცენ ყველაფერი, რაც ყველაზე დეფიციტურია... ამბობენ, რომ ბაზაშიც კი ემინიათ მისი, წინასწარ მიიწვევენ ხოლმე, სანამ საქონელს მაღაზიებში გამოიტანდნენ — ნახოს და აირჩიოს, რაც უნდა. ისიც ნახულობს. და ირჩევს. და უბრძანებს: „ამ ზედატანს მე წავიღებ. დანარჩენი ასეთები კი ატარონ... სხვა ქალაქში". და ყოველივე ეს მისმა ქმარმა ზღო. ახლა მას აღარც ხარისხები აქვს, აღარც პატივისცემა.

გახსოვთ, ჩეხოვის „სამ დაში" ანდრია პროზოროვი, უხეირო პროფესორი, ძნელ ჟამს თავის მეგობარს გამოუტყდება: „ცოლი ცოლია. პატიოსანია, წესიერი, კეთილი, მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად მასში არის რაღაც, რაც ამცირებს მას წვრილმან, ბრმა, ხაოიან ცხოველამდე. ყოველ შემთხვევაში ადამიანი არ არის... მიყვარს ნატაშა, ეს ასეა, მაგრამ ზოგჯერ საოცრად უხამსი მეჩვენება..."

აი რა გაჭიანურებულად ლაპარაკობდა ძველად კაცი, რომელსაც ზურგში დანა ჰქონდა ჩაცემული და რა ულმობლად უსაყვედურებდა თავის თავსაც, ამ თავის ნატაშასაც. თუ, შესაძლოა, ეს მხოლოდ პიესებში ხდება ასე? ცხოვრებაში კი სხვანაირად? და უფრო მოკლედაც ამბობენ? მაგალითად ასე: „რას იზამ? ცოლი სულელი მყავს. არასოდეს არ უმუშავნია, ვერ მოუხერხებია საქმე გაიჩინოს". თითქოს ქალმა, რომელსაც თავისი ოჯახი, თავისი სახლი უყვარს და უფრთხილდება, საჭიროა საქმე გამოიგონოს თავისთვის! თითქოს საოჯახო საქმეები სამუშაო არ იყოს.

ხოლო არიან ასეთი ქალებიც. ბაფთების ქსოვას ჩამოშორდა, შემოქმედებითი შრომისადმი მიდრეკილება არა აქვს, არავითარი კონკრეტული საქმე არ იცის, სამაგიეროდ მტკიცედ იცის, რომ ცოლი ცოლია. თანაც (სოციოლოგები გახსოვთ?) თავის თავში გრძნობს ძალასაც, დამოუკიდებლობასაც, ვაჟკაცურობისადმი მისწრაფებასაც! და აი იწყებს პარპაშს ისეთ ფარგლებში, რომლებიც სრულებით არ ექვემდებარება მას. იწყებს ისეთ რამეებში ჩაწვდომას, რაც მისთვის უცნობია, არა სურს გაიგოს, რომ საზოგადოებამ მოცემული საქმე მაინც მის ქმარს ანდო და, მაშასადამე, ამ ეტაპზე დაინტერესებულია მისი ქმრით. ქმრით და არა ცოლით. თორემ მათ პირდაპირ შეუცვლიდნენ ადგილებს. ჩვენში ხომ თანასწორუფლებიანობაა.

ასე არღვევს იმას, რაც პირადად მას არ ეკუთვნის — თავისი ქმრის რეპუტაციას. რეპუტაცია სათუთი საქმეა. მისი შექმნა ძნელია, დარღვევა კი სასაცილოდ იოლი. და მაშინ კაცი, რომელსაც შეეძლო მონბლანივით ელვარება, პატარა და უბადრუკი აღმოჩნდება. და მთელი მისი საქმეები სასაცილო ხდება, განიზომება უკვე არა საზომით, არამედ რაღაც გაშინაურებული უბადრუკი ზომით, საწყენი კია. მას შეეძლო ბევრი რამ გაეკეთებინა.

სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ქმრებს უნდა ვუფრთხილდებოდეთ, ისინი გვაძლევენ არა მარტო თავიანთი გულის სითბოს, თავიანთ ხელფასსა და თავიანთ გვარს. მათში ხომ საზოგადოებაა დაინტერესებული. მათგან, თუ მათ პატივისცემით მოვეპყრობით, ჩვენც მოგვემატება პატივისცემა. და ჩვენზე იტყვიან: იცნობთ ამასა და ამას? ღირსეული ქალია, და ქმარიც შესანიშნავი ადამიანი ჰყავს. ასეთი რამის მოსმენა, ჩემი აზრით, ყველაზე თანამედროვე და ვაჟკაცური ჩვენგანისთვისაც კი ყოველთვის სასიამოვნოა. ასე რომ გაუფრთხილდით ქმრებს. ისინი გზაზე როდი ყრიან.

თუმცაღა იქნებ ვინმე არც მეთანხმება?

ლ. ოჩაკოვსკაია.

**ჩვენი რედაქციისაგან:** ამ წერილში, რომელიც გაზეთ „იზვესტიიდან" გადმოვბეჭდეთ და „კომუნისტის" მკითხველებს ვთავაზობთ, აღძრულია ჩვენი ცხოვრების მეტად საყურადღებო ოჯახური საკითხი. ბევრი, რასაკვირველია, უსიტყვოდ დაეთანხმება ავტორს, ზოგიერთი კი შეიძლება სხვა აზრისაა. ამას ალბათ თვითონ მკითხველები იტყვიან ჩვენი რედაქციის სახელზე გამოგზავნილ თავიანთ წერილებში.

# „კომუნისტი" სპორტი

## კიდევ ერთი გამარჯვება

ერთი დღის შესვენების შემდეგ სტოკჰოლმის „იუჰანესჰოფის" სტადიონის ყინულის მოედანზე განაახლეს ბრძოლა შაიბიან ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდებმა.

გუშინ გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები. მსოფლიოს ჩემპიონებს — საბჭოთა ჰოკეისტებს მატჩი ჰქონდათ პოლონეთის ნაკრებთან. პირველი პერიოდი დამთავრდა ჩვენი გუნდის სასარგებლოდ 2:0. შაიბები გაიტანეს ფირსოვმა და ვიკულოვმა. მეორე პერიოდში ანგარიში 7:0 გახდა. გოლების ავტორები იყვნენ მალცევი (ორჯერ), მიხაილოვი (ერთხელ), ვიკულოვი (ორჯერ). მესამე პერიოდში მეტოქეებს შაიბა არ გაუტანიათ, გაიმარჯვეს საბჭოთა ჰოკეისტებმა 7:0.

ამრიგად, სსრ კავშირის ნაკრებმა სამი შეხვედრიდან სამივე მოიგო შაიბების სხვაობით 21-2 და 6 ქულით ლიდერობას ინარჩუნებს. დღეს საბჭოთა ჰოკეისტებს მატჩი ექნებათ ჩეხოსლოვაკიის გუნდთან.

## ლიდერობს ჩემპიონი

ჩვენი ქვეყნის ხელბურთელ ქალთა უძლიერეს კოლექტივებს დავა კაუნასში აქვთ. ეს არის საკავშირო პირველობა. სსრ კავშირის ჩემპიონი კიევის „სპარტაკი" წელსაც ჩემპიონობას უმიზნებს, ზედიზედ იგებს თამაშებს. სპარტაკელთა აქტივშია 7 მოგება, მათ შორის მთავარ მეტოქესთან მოსკოვის „ლუჩთან" 15:12. მეორე ადგილზეა „ლუჩი", მიუხედავად იმისა, რომ კიდევ ერთი დამარცხება განიცადა კაუნასის „ჟალგირისთან" შეხვედრაში.

## შტანგისტთა ფორუმი მინსკში

მინსკში რამდენიმე დღეა მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო ტურნირი ძალოსნობაში „მეგობრობის თასზე". ეს შეჯიბრება წარმოადგენს ძალთა მოსინჯვას მომავალი პასუხსაგები ასპარეზობების წინ.

პირველმა შეხვედრებმა ცუდი შედეგი როდი მოგვცა, დამყარებულია ახალი რეკორდები. 16 მარტს დიდი წარმატება ხვდა დონეცკელ 18 წლის მოსწავლეს ა. გალკინს, რომელმაც აჰიმა 145 კილოგრამი და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა იუნიორთა შორის. მან წინანდელ რეკორდს (ქვესაშუალო წონა) 4,5 კილოგრამით გადააჭარბა. მართალია ა. გალკინს სხვა მოძრაობებში ასეთი წარმატება არ ჰქონია, მაგრამ სამჭიდში 420 კილოგრამი ცუდი შედეგი როდია.

ქვესაშუალო წონაში უძლიერესი იყო ლენინგრადელი შტანგისტი ე. სმირნოვი, რომელმაც სამჭიდში 447,5 კილოგრამი შეაგროვა. მსუბუქ წონაში გაიმარჯვა პოლონელმა ზ. კოჩმარეკმა — 425 კგ.

## „მეგობრობის თასზე"

თეირანში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში „მეგობრობის თასზე". საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობს არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი.

ტურნირში კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა ცსკა-მ. ამჯერად არმიელმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს უნგრეთის გუნდი 5:1 და ნახევარფინალში გავიდნენ.

ირანის საკლუბო გუნდს „პეიკანს" მატჩი ჰქონდა პაკისტანის ნაკრებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1.

## შესვენების შემდეგ

საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე კალათბურთელ ქალთა გუნდებს პირველი ტურის შემდეგ არდადეგები ჰქონდათ. შესვენების შემდეგ 16 მარტს მეტოქეებმა ბრძოლა განაახლეს.

მეორე ტურის დაწყებამდე სატურნირო ცხრილის სათავეში იდგნენ რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის და მოსკოვის ოლქის „სპარტაკის" გუნდები, რომლებსაც ხუთ-ხუთი ქულა ჰქონდათ, მაგრამ აი როგორც კი დაიწყო მეორე ტური, ორხელისუფლებიანობა დაირღვა. რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის გუნდმა მოუგო ვილნიუსის „კიბირკშტისს" 61:58, ხოლო მოსკოვის ოლქის „სპარტაკმა" წააგო შეხვედრა ლენინგრადის „ბურევესტნიკთან" 58:66. ამრიგად, ლიდერი გახდა რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის გუნდი.

ორმა ქულამ გადაწყვიტა საკითხი კაუნასის „პოლიტექნიკისა" და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდების მატჩში. წარმატება კაუნასელებს ხვდათ 62:60. ლენინგრადის სპარტაკელებმა სძლიეს კიევის „დინამოს" 63:48. სვერდლოვსკის „ურალმაშისა" და ტარტუს უნივერსიტეტის კალათბურთელთა მატჩის შედეგია 76:45 სვერდლოვსკელთა სასარგებლოდ. მოსკოვის დინამოელებმა მოუგეს დედაქალაქის „სერპ ი მოლოტს" 76:63.

## მეოთხედფინალური

გრძელდება ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება ფრენბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. ახლა მეტოქეები მართავენ მეოთხედფინალურ შეხვედრებს. საბჭოთა კავშირიდან ამ პოპულარულ ტურნირში გამოდის არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი.

პირველი მეოთხედფინალური მატჩი ჩვენს ფრენბურთელებს 16 მარტს მოსკოვში სტამბოლის „ფენერბახჩესთან" ჰქონდათ. წარმატება ცსკა-ს გუნდს ხვდა 3:0 (15:3, 15:7, 15:8), ამ გუნდების მეორე მეოთხედფინალური შეხვედრა მოეწყობა აპრილის პირველ რიცხვებში სტამბოლში.

## მექსიკაში მანქანებით

ლონდონის გაზეთი „დეილი მირორი" თავისებურად გამოეხმაურა მსოფლიოს ჩემპიონატს ფეხბურთში — იგი აწყობს გიგანტურ ავტოგადარბენას ლონდონიდან მეხიკომდე. რეიდი ასეთია: ლონდონი-მილანი-ლისაბონი-ნახტომი ოკეანეზე-მონტევიდეო-სანტიაგო-ლიმა-მეხიკო.

ავტოგადარბენას სტარტი მიეცემა 19 აპრილს ლონდონის „უემბლის" სტადიონზე და დამთავრდება 27 მაისს მეხიკოს „აცტეკის" სტადიონზე. ის, ვინც მოიგებს ამ ავტოგადარბენას, მიიღებს დიდ ჯილდოს — 10 ათას გირვანქა სტერლინგს. მეორე ადგილისათვის დაწესებულია ჯილდო 3 ათასი გირვანქა სტერლინგის ოდენობით.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ავტომძღოლთა შორის იქნება განთქმული ინგლისელი თავდამსხმელი ჯ. გრივსი, მსოფლიოს 1962 და 1966 წლების ჩემპიონატების მონაწილე. გრივსი რამდენჯერმე იყო ინგლისის ჩემპიონატების ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი და ახლაც დიდი წარმატებით თამაშობს „ტოტენჰემ ჰოტსპურში", მაგრამ მწვრთნელ ა. რამსეისთან ცუდი ურთიერთობა აქვს. 1966 წელს იგი რამსეიმ ნაკრებში მხოლოდ „ჟურნალისტების ხათრით" შეიყვანა, შარშან კი უკვე საბოლოოდ გამოეთხოვა გრივსს.

„არა უშავს რა, — ამბობს გრივსი, — ზოგი ჭირი მარგებელია. მართალია, მექსიკაში ვერ წავალ როგორც ფეხბურთელი, მაგრამ ავტომძღოლთა მიშველა".

## სასამართლოს დარბაზიდან

# ბედი გოროტი კაცისა

— უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, გემუდარები შევქმნათ ახალი ოჯახი, და თუ ბავშვებიც გვეყოლება, ნემსის ყუნწში გავძვრები, წლებზე ფეხებს დავიდგამ და ალალი შრომით არაფერს არ მოგაკლებთ, სიხარულით აგავსებთ, — თითქმის თვალცრემლიანი ემუდარებოდა ქუთაისში მცხოვრები ნოდარ ზირაქაძე ლილი სულამანიძეს.

ქალიშვილმა თანხმობა მისცა, ხელიც მოაწერეს. ეს იყო 1961 წელს.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი პირველ ხანებში შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ. მალე ერთიმეორის მოყოლებით ბავშვებიც — ლია, მზია და მამუკა შეეძინათ. როგორც წესია, ბავშვების შეძენას კიდევ უფრო უნდა განემტკიცებინა ოჯახში მეუღლეთა ურთიერთ პატივისცემა. მაგრამ პირიქით მოხდა, ნოდარმა გული აიცრუა არა თუ მეუღლეზე, არამედ ბავშვებიც თვალის დასანახავად შეიჯავრა. საქმე სასამართლომდე მივიდა, რომლის გადაწყვეტილებით ურჩ მამას თავისი მცირეწლოვანი შვილების სასარგებლოდ ალიმენტი დაეკისრა. ამან სულ გააცოფა ნ. ზირაქაძე.

— მაშ ასე, არა, — მუქარით მიაძახა მეუღლეს, — კაპიკს ვერ მიიღებ ჩემგან, სისხლს გაგიშრობ, ისე გაგაწვალებ, წადი და დაიჭირე ქარი მინდორში, დღეის შემდეგ თვალითაც ველარ მნახავ.

თქვა, და თასრულა კიდეც. სადღაც უკვალოდ გაქრა.

სად არ დადიოდა თვალცრემლიანი ლილი სულამანიძე აღმასრულებელი ფურცლით ხელში, მაგრამ „მზრუნველ მამას" ნ. ზირაქაძეს ვერსად ვერ მიაგნეს.

ნ. ზირაქაძე დაბა მაიაკოვსკში გადაბარგებულიყო, სამუშაოზეც მოწყობილიყო და ახალი სამიჯნურო რომანის დაწყებისათვის ემზადებოდა, მაგრამ 9 თვის ძებნის შემდეგ მიაგნეს, ალიმენტის ვადახდისათვის თავის არიდების გამო პასუხისგებაში მისცეს.

მაიაკოვსკის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა ალიმენტის ურჩი გადამხდელის ნ. ზირაქაძის საქმე და მას 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ზ. მესხენბისერი.

## ვ. ა. შარვაშიძე — ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი



საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ზოოლოგია-ფიზიოლოგიის კათედრის თანამშრომელმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ვლადიმერ ამბაკოს-ძე შარვაშიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „საქართველოს სსრ შიდა წყალსატევების თევზების მორფოეკოლოგიური დახასიათება და სამეურნეო მნიშვნელობა".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ვ. ა. შარვაშიძისათვის ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## რადიო

19 მარტი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ნ. მამისაშვილი. ორი პიესა სონეტისათვის და ექვსი საფორტეპიანო პრელუდია, 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა; 11.05 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.45 — ა. ხაჩატურიანი. ფრაგმენტები ბალეტ „გაიანედან", 12.10 — გადაცემა ციკლიდან „პარტიული მუშაკის ტრიბუნა", 12.25 — ი. სიბელიუსი. სავიოლინო კონცერტი, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ს. მირიანაშვილი. სიმღერები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — რ. ლაღიძე. სიმფონიური პოემა „სამშობლოსათვის", 17.35 — მოსწავლეთათვის. შიო მღვიმელის ლექსები, 18.00 — საინფორმაციო რადიობიულეტენი „ამიერკავკასიის რესპუბლიკები — ვ. ი. ლენინის იუბილეს შესახვედრად", 18.10 — ნ. აბესაძისა და ს. კორონიძის კონცერტი, 18.45 — მინკუსი. ფრაგმენტები ბალეტ „დონ კიხოტიდან", 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. ციკლი „სკკპ ისტორია" (სწავლების მეორე წელი). საუბარი „პარტია დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941-1945 წ.წ.)", 19.45 — შ. მილორავა. ფრაგმენტები ოპერეტებიდან, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.30 — საერთაშორისო კონკურსების ლაურეატების ო. კოგანისა და კ. ლისოვსკის კონცერტი, 21.00 — „ძილისპირული", 21.15 ო. იოსელიანი. „შეცდომა". მოთხრობა, 21.45 — ჩაიკოვსკი. პირველი სიმფონია, 22.50 — საულსკი. ფანტაზია ი. დუნაევსკის სიმღერების თემებზე, 23.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

## ტელევიზია

18 მარტი

11.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად ლექცია მათემატიკაში, 11.30 — ლექცია ფიზიკაში, 12.00 — მხატვრული ფილმი „როცა ვარდები ჰყვავიან", 13.25 — „სამეურნეო ანგარიშის სიკეთე", (9 მარტის გადაცემის გამეორება), 17.55 — ახალი ამბები, 18.00 — განცხადებები, 18.05 — ბავშვებისათვის— „ბელადის იუბილეს მიუძღვნეს", 18.55 — კინონარკვევი, 19.15 — გადაცემა — „გაცოცხლებული ფურცლები", 19.50 — კინოფნარკვევი, 20.00 — კონცერტი, 20.25 — მხატვრული ფილმი — „საგუშაგო მთებში", 22.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.30 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში — ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირი (გადმოცემა შვეციიდან).

## თეატრები

18 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ემილ გილელსის კონცერტი; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ფედრა; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სიყვარული სახუმარო არ არის; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — კორკალ ქორწილი; მოზარდ მაყურებელთა ქართული — სკაპენის ოინები (№ 14 აბონ. დილის 10 ს.), ჯირითი (№ 57 აბონ. 5 ს. და 30 წ.); თოჯინების ქართული — ხუთკუნჭულა (11 ს. 29-ე, 61-ე და 129-ე სკოლები, 1 საათზე 140-ე სკოლა).

რედაქტორი

დ. მეძღლიშვილი.

„კომუნისტი" | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99 93 03, 99 03 09, პ/მგ მდივნის — 99 72 80, სამდივნოსი — 99 66 10, განყოფილებების: პარტიული — 99 47 61, პროპაგანდის — 93 22 93, მრეწველობის — 93 20 34, სოფლის მეურნეობის — 99 52 46, საბჭოთა მშენებლობის — 93 18 70, მეცნიერების უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93 87 58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99 55 01, ინფორმაციის — 93 16 90, სატირისა და ფელეტონის — 99 60 21, უცხოეთის — 93 95 97, წერილების — 99 78-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 | უე 04193 | საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.